სს „საპარტნიორო ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საპარტნიორო ფონდის“
სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „საპარტნიორო ფონდის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ მმართველობითი ანგარიში, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან ხომ არ შეიცავს ის სხვა არსებით უზუსტობას.

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავეცანით მმართველობით ანგარიშს და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
23 ოქტომბერი, 2020 წ.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
23 ოქტომბერი, 2020 წ.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018*
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	4,358,883	4,108,807
საინვესტიციო ქონება	9(e)	134,864	75,529
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	10	158,588	162,749
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	11	114,084	112,726
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	12	73,134	67,854
სასესხო მოთხოვნა	13	2,563	2,580
სავაჭრო მოთხოვნები	15	15,718	18,959
დღგ-ს მოთხოვნა		1,211	6,137
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	63,972	81,655
გრძელვადიანი აქტივები		**4,923,017**	**4,636,996**
სასესხო მოთხოვნა	13	1,945	258
მარაგები		85,622	69,655
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	14	81,902	63,244
სავაჭრო მოთხოვნები	15	385,940	253,259
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		11,231	11,011
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	515,020	780,150
მიმდინარე აქტივები		**1,081,660**	**1,177,577**
სულ აქტივები		**6,004,677**	**5,814,573**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	100,000	100,000
მესაკუთრეთა შენატანები		2,749,005	2,725,876
დაგროვილი დეფიციტი		(1,003,629)	(1,083,629)
კომპანიის მესაკუთრეებთან დაკავშირებული კაპიტალი		**1,845,376**	**1,742,247**
არამაკონტროლებელი წილები	23	19,559	28,651
სულ კაპიტალი		**1,864,935**	**1,770,898**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	3,244,287	2,476,209
საქართველოს სახელმწიფოსგან მიღებული ავანსი	17(d)	46,594	46,594
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	19	23,113	36,874
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	20	102,736	105,579
სახელშეკრულებო ვალდებულება	6(c)	4,621	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,421,351**	**2,665,256**
სესხები და კრედიტები	18	299,073	953,789
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	19	19,267	17,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	365,736	382,762
ვალდებულებები საქართველოს სახელმწიფოს მიმართ	17(c)	4,896	5,317
ანარიცხები		18,967	14,517
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		7,617	68
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	20	2,835	4,966
მიმდინარე ვალდებულებები		**718,391**	**1,378,419**
სულ ვალდებულებები		**4,139,742**	**4,043,675**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**6,004,677**	**5,814,573**

ჯგუფმა ფასს 16 პირველად 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საფუძველზე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, ხოლო ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-87 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	2,072,725	1,705,374
საოპერაციო ხარჯები	7	(1,312,113)	(1,012,023)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(245,434)	(230,590)
ცვეთა და ამორტიზაცია		(180,593)	(205,245)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	9	(5,038)	(734,092)
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების მოგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)	11	(2,154)	(500)
სხვა შემოსავალი		39,399	50,135
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		(38,688)	(17,080)
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე კომპანიებში	11	(2,546)	-
სარფიანი შესყიდვით მიღებული შემოსულობა		-	2,045
ეტაპობრივ ნასყიდობაზე აღიარებული შემოსულობა		-	1,974
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**325,558**	**(440,002)**
ფინანსური შემოსავალი	8	55,129	71,434
ფინანსური ხარჯები	8	(308,069)	(214,022)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(252,940)**	**(142,588)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**72,618**	**(582,590)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,710)	(2,529)
წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		**70,908**	**(585,119)**
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		80,000	(571,287)
არამაკონტროლებელ წილებს		(9,092)	(13,832)
		70,908	**(585,119)**

ჯგუფმა ფასს 16 პირველად 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საფუძველზე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, ხოლო ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დავით საგანელიძე	იოსებ მამუკელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი	ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 87 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	2,072,725	1,705,374
საოპერაციო ხარჯები	7	(1,312,113)	(1,012,023)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(245,434)	(230,590)
ცვეთა და ამორტიზაცია		(180,593)	(205,245)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	9	(5,038)	(734,092)
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების მოგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)	11	(2,154)	(500)
სხვა შემოსავალი		39,399	50,135
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		(38,688)	(17,080)
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე კომპანიებში	11	(2,546)	-
სარფიანი შესყიდვით მიღებული შემოსულობა		-	2,045
ეტაპობრივ ნასყიდობაზე აღიარებული შემოსულობა		-	1,974
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**325,558**	**(440,002)**
ფინანსური შემოსავალი	8	55,129	71,434
ფინანსური ხარჯები	8	(308,069)	(214,022)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(252,940)**	**(142,588)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**72,618**	**(582,590)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,710)	(2,529)
წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		**70,908**	**(585,119)**
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		80,000	(571,287)
არამაკონტროლებელ წილებს		(9,092)	(13,832)
		70,908	**(585,119)**

ჯგუფმა ფასს 16 პირველად 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საფუძველზე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, ხოლო ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დავით საგანელიძე
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 87 გვერდებზე.

'000 ლარი	საქციო კაპიტალი	მესაკუთრეთა შენატანები	დაგროვილი დანაკლისი	სულ	არამაკონტრო -ლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	100,000	2,654,412	(512,342)	2,242,070	42,483	2,284,553
მთლიანი სრული ზარალი						
წლის ზარალი	-	-	(571,287)	(571,287)	(13,832)	(585,119)
პირდაპირ კაპიტალში ასახული გარიგებები მესაკუთრეებთან						
მესაკუთრის შენატანები (იხილეთ შენიშვნა 17(b))	-	71,464	-	71,464	-	71,464
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,725,876**	**(1,083,629)**	**1,742,247**	**28,651**	**1,770,898**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	100,000	2,725,876	(1,083,629)	1,742,247	28,651	1,770,898
მთლიანი სრული შემოსავალი						
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	80,000	80,000	(9,092)	70,908
პირდაპირ კაპიტალში ასახული გარიგებები მესაკუთრეებთან						
მესაკუთრის შენატანები (იხილეთ შენიშვნა 17(b))	-	23,129	-	23,129	-	23,129
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,749,005**	**(1,003,629)**	**1,845,376**	**19,559**	**1,864,935**

ჯგუფმა ფასს 16 პირველად 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საფუძველზე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, ხოლო ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. იხილეთ შენიშვნა 5.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 87 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
წლის მოგება/(ზარალი)		70,908	(585,119)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		180,593	205,245
მოგების გადასახადის ხარჯი		1,710	2,529
წმინდა ფინანსური ხარჯები		252,940	142,588
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ზარალის წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)		2,154	500
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		38,688	17,080
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი		5,038	734,092
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე კომპანიებში		2,546	-
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან		(4,988)	(4,971)
ქონების რეალიზაციიდან მიღებული (შემოსულობა)/ზარალი		(4,716)	(2,870)
სარფიანი შესყიდვით მიღებული შემოსულობა		-	(2,045)
ეტაპობრივ ნასყიდობაზე აღიარებული შემოსულობა		-	(1,974)
		544,873	**505,055**
ცვლილებები:			
მარაგებში		(15,216)	(11,765)
სავაჭრო მოთხოვნებში, ავანსებში და სხვა მიმდინარე აქტივებში		(176,405)	11,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		20,661	25,451
საგადასახადო ვალდებულებებში		9,742	(94)
ანარიცხებში		9,071	3,458
სახელმწიფო გრანტებში		15	2,788
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		**392,741**	**536,064**
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,725)	(1,517)
გადახდილი პროცენტი		(213,185)	(198,890)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**177,831**	**335,657**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		46,355	54,833
სესხების გაცემა		(1,069)	(2,293)
შვილობილი კომპანიისგან ფონდისთვის სასესხო მოთხოვნების გადაცემასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გადინება		-	(37,208)
გაცემული სესხების დაფარვა		125	1,005
ძირითადი საშუალებების შეძენა და ცვლილება გრძელვადიან და სხვა გრძელვადიან აქტივებში გადახდილ ავანსებში		(413,305)	(456,503)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსულობები		16,282	18,409
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების შეძენა		(11,581)	(31,868)
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების კლება		27,528	16,083
შვილობილი კომპანიის შესყიდვა		-	(6,587)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(335,665)**	**(444,129)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან		91,803	42,256
ნასესხები სახსრების დაფარვა		(194,025)	(246,192)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა		(17,000)	(15,000)
სასესხო ვალდებულების საკომისიოების დაფარვა		(4,455)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(1,000)	-
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(124,677)**	**(218,936)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(282,511)**	**(327,408)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		780,150	1,097,599
სავალუტო კურსის მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		17,381	9,959
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	16	**515,020**	**780,150**

ჯგუფმა ფასს 16 პირველად 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საფუძველზე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, ხოლო ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. იხილეთ შენიშვნა 5.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 87 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	11
2.	აღრიცხვის საფუძველი	15
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	18
4.	შეფასებების და მსჯელობების გამოყენება	19
5.	ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	20
6.	შემოსავალი	22
7.	საოპერაციო ხარჯები	29
8.	ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	29
9.	ძირითადი საშუალებები	30
10.	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივები	35
11.	ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	35
12.	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	37
13.	სასესხო მოთხოვნები	38
14.	ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	38
15.	სავაჭრო მოთხოვნები	38
16.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39
17.	კაპიტალი და ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	39
18.	სესხები და კრედიტები	41
19.	რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	48
20.	აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	48
21.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49
22.	სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	49
23.	მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები	58
24.	იჯარები	60
25.	კაპიტალური დაბანდების ვალდებულება	61
26.	პირობითი ვალდებულებები	62
27.	დაკავშირებული მხარეები	64
28.	შემდგომი მოვლენები	65
29.	შეფასების საფუძველი	67
30.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	67
31.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული	87

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნესგარემო

ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“) წარმოადგენს საქართველოში მოქმედ სააქციო საზოგადოებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად „ჯგუფი“, ცალკე „ჯგუფის საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებებს, ასევე ჯგუფის წილს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ჯგუფის მნიშვნელოვან საწარმოებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები წარმოადგენს, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 1(c) და 23.

ფონდი დაფუძნდა 2011 წლის 28 ივნისს, როგორც მთლიანად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმო „სს საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფონდი წარმოადგენს საჯარო სექტორში მოქმედ სპეციალიზებულ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ; მის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობის ქვეშ. ის შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში ნაკლებ განვითარებულ მრეწველობებში ინვესტიციების ხელშეწყობის და ქვეყანაში ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კაპიტალისა და სესხის ფინანსირებას, საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო სექტორის კომპანიების გარანტირებას უპირატესად ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო და უძრავი ქონების სექტორებში არსებული პროექტებისთვის. შემოსავლის ძირითად წყაროდ მოიაზრება დივიდენდები და საგარანტიო მოსაკრებლები.

ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობებია გაზის იმპორტირება და რეალიზაცია, გაზის და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობის და გაზის ძიება და მოპოვება, ქვეყნის სარკინიგზო სისტემის ფუნქციონირება, ტვირთის და მგზავრების ტრანსპორტირების და გადატანის მომსახურების გაწევის გზით, ელექტროენერგიის გაყიდვა და გადაცემა საქართველოს ტერიტორიაზე. 2015 წლის ივლისის თვეში გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (CCPP) მშენებლობის დასრულების შემდეგ, ჯგუფის ძირითად საქმიანობას ელექტროენერგიის წარმოება დაემატა. 2015 წლის 7 სექტემბერს, გარდაბნის ელექტროსადგურმა ფუნქციონირების უვადო ლიცენზია მიიღო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან და დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დაურეგულირებელი ტარიფების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #475 ბრძანების შესაბამისად, გარდაბნის ელექტროსადგურს მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის ოპერატორის სტატუსი 2040 წლის 1 ოქტომბრამდე ვადით.

2017 წლის შემდეგ, ჯგუფმა წამოიწყო კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II-ის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 2019 წლის ბოლოსთვის. „გარდაბანი II“-ზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ („სემეკი“) ელექტროენერგიის გამომუშავების ლიცენზია 2020 წლის 25 მარტს გასცა. შედეგად, თბოელექტროსადგურმა „გარდაბანი II“ 2020 წელს ფუნქციონირება დაიწყო.

ფონდმა მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლი მოიპოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 30 ივლისს და 14 აგვისტოს გამოცემული ბრძანებების შემდეგ, რომელთა თანახმადაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის“ წილის 100% და ყოფილი მეკავშირე საწარმოების - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ დარჩენილი წილი საქართველოს მთავრობამ ფონდის კაპიტალში შეიტანა.

ფონდის იურიდიული მისამართია: ვუკოლ ბერიძის ქუჩა #6, 0108, თბილისი, საქართველო. ფონდის სარეგისტრაციო ნომერია: 404404550.

ფონდი მთლიანად სახელმწიფოს მფლობელობაშია, რომელსაც საქართველოს მთავრობა („მშობელი კომპანია“, „მფლობელი“) წარმოადგენს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები დაწვრილებით არის აღწერილი შენიშვნაში 27.

(c) ჯგუფის სტრუქტურა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს პირდაპირი და არაპირდაპირი წილები აქვს შემდეგ ორგანიზაციებში:

სახელწოდება	რეგისტრაციის და ოპერირების ქვეყანა	2019 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	2018 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და მისი შვილობილი კომპანიები				
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	საქართველო	100%	100%	ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვა, მოპოვება და ექსპლუატაცია და მილსადენების იჯარა
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ოპერირება
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ოპერირება
შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“	საქართველო	100%	100%	მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ფუნქციონირება
GOGC Trading SA	შვეიცარია	100%	100%	ნედლი ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ნავთობქიმიური ნივთიერებებით და სხვა ფართო მოხმარების საქონლით ვაჭრობა
სს "საქართველოს რკინიგზა" და მისი შვილობილი კომპანიები				
სს "საქართველოს რკინიგზა"	საქართველო	100%	100%	სარკინიგზო გადაზიდვები
შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ყოფილი შპს „რკინიგზის ქონების მართვა“)	საქართველო	100%	100%	ქონების მართვა და განვითარება
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (ყოფილი შპს „ტრანს კავკასიური ტერმინალები“)	საქართველო	100%	100%	კონტეინერების ტრანსპორტირება და სატერმინალო მომსახურება

სახელწოდება	რეგისტრაციის და ოპერირების ქვეყანა	2019 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	2018 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს „საქართველოს რკინიგზის მშენებლობა“	საქართველო	100%	100%	სამშენებლო და სხვა პროექტები
შპს „Georgia Transit“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „ჯიარ ტრანზიტი“ (ყოფილი შპს „საქართველოს ტრანზიტი“)	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „ჯიარ სატრანზიტო ხაზი“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „GR Trans Shipment“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანიები				
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა
შპს „ენერგოტრანსი“	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის გადაცემა
სს "Karcal Energy"	თურქეთი	100%	100%	ელექტროენერგიის გადაცემა
სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“	საქართველო	50%	-	ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრის ფუნქციონირება
სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“	**საქართველო**	**100%**	**100%**	**ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა**
სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“	საქართველო	50%	-	ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრის ფუნქციონირება
შპს „პროექტი“	საქართველო	100%	100%	თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების წარმოება
სს „Aerostructure Technologies Cyclone“	საქართველო	66%	66%	თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების წარმოება
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“	საქართველო	100%	100%	კვების სერვისები
შპს „ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი
შპს „ქართული პროდუქტი“	საქართველო	100%	100%	ტურიზმის განვითარება
შპს "შავი ზღვის პორტი"	საქართველო	100%	100%	პორტის მშენებლობა და ფუნქციონირება
შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“	საქართველო	100%	100%	ლაგოდეხში სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა
სს „Panex“	საქართველო	48.17%	48.17%	სამშენებლო მასალების მრეწველობა
სს „თელასი“	საქართველო	24.53%	24.53%	ელექტროენერგიის ყიდვა და განაწილება სამეწარმეო და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე თბილისში
შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი შვილობილი კომპანიების მართვა
შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურებები
შპს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურებები

სახელწოდება	რეგისტრაციის და ოპერირების ქვეყანა	2019 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	2018 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
შპს „ნიკოლოზ ყიფშიძის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურებები
სს „Vanric Agro“	საქართველო	40.48%	40.48%	ხილის ექსპორტი
შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა
შპს „სტარტაპ საქართველო“	საქართველო	100%	100%	ვენჩურული კაპიტალი
შპს „იმერეთი გრინერი“	საქართველო	37.65%	37.65%	სოფლის მეურნეობა/საფერმერო საქმე
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“	გაერთიანებული სამეფო	8%	8%	საინვესტიციო ფონდი
შპს "საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარება"	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდი, რომელიც ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს რეგიონალურ განვითარებაში
შპს "ლიკანი რეზიდენსი"	საქართველო	100%	100%	ლიკანში რომანოვების სასახლის რესტავრაცია
შპს „Global Brand“	საქართველო	100%	100%	ღვინის ექსპორტი აშშ-ში
შპს "ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორობის კომპანია"	საქართველო	100%	100%	ინვესტიციების განხორციელება ანაკლიის პორტის პროექტში
შპს "წინანდალი ისთეითსი"	საქართველო	33.43%	45.51%	სასტუმრო და სპა-კურორტი სოფელ წინანდალში
Gazelle Fund LP	კანადა	29.10%	29.10%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია წარმომადგენლობითი ოფისებით საქართველოში და სომხეთში
შპს „იტონგ კავკასუს“	საქართველო	28.9%	28.9%	სამშენებლო მასალების წარმოება
საპარტნიორო ფონდი - შპს „გრინ დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
საპარტნიორო ფონდი - შპს „გრინ დეველოფმენთი“	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „ჯინო გრინ სიტი კორპორაცია“	საქართველო	49%	49%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „East West Bridge“	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდის ფლობა სვანეთში (საქართველო)
სს „ნენსკრა ჰიდრო“	საქართველო	8.07%	6.99%	ჰიდროელექტროსადგურის განვითარება, მშენებლობა და ფუნქციონირება
შპს „Caucasian SUS Heritage“	საქართველო	49.90%	49.90%	ღორების ფერმა
სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“	საქართველო	100%	100%	სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
შპს „ქართული ბუნებრივი პროდუქტები“	ბელარუსი	100%	100%	ღვინის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი
ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის	საქართველო	33.33%	-	საინვესტიციო კომპანია

ფონდის მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები ქართულ სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენენ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სს „საქრუსენერგოში“ მიღებული 50%-იანი საკუთრების უფლება

2019 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ სს „საქრუსენერგოში“ მისი 50%-იანი წილი დროებით გადასცა ფონდს. ხელმძღვანელობის შეფასებით ფონდს არ მიუღია არც კონტროლი და არც მნიშვნელოვანი გავლენა სს „საქრუსენერგოზე“ ზემოთხსენებულ გარიგებაში და ის ჩათვალა გარდამავალ ოპერაციად საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტებთან. მოგვიანებით, 2020 წელს, წილი საქართველოს მთავრობას დაუბრუნდა.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ 2019 წლის დეკემბერში დაფუძნდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის“ 50%-50%-იანი თანამონაწილეობით. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ არის ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრის ოპერატორი და უზრუნველყოფს ყოველდღიური ბაზრების და ოპერაციების შექმნას, „Nord Pool Consulting Company“-ის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გამოყენების გზით. 2019 წელს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ 1,541 ათასი ლარის ოდენობით ინვესტიცია განახორციელა შვილობილი კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისა და მონტაჟისთვის. 2019 წელს ჯგუფმა სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაში“ 1,843 ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” („ფასს”) შესაბამისად.

ეს არის ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების პირველი ნაკრები, რომელშიც გამოყენებულია ფასს 16 *„იჯარა“*.

მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში ცვლილებები აღწერილია შენიშვნაში 5.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო - კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქება

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე კოვიდ-19-ის პოტენციურად სერიოზულ საფრთხეზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უწყებებმა კონკრეტული ღონისძიებები გაატარეს, მათ შორის დააწესეს შეზღუდვები ადამიანების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებებზე და უცხოელი სტუმრების ქვეყანაში შემოსვლაზე, და გასცეს ინსტრუქციები ბიზნეს-საზოგადოებაზე, თანამშრომლების დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის თაობაზე.

მოსახლეობის სანიტარული და ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტმა 2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რითაც შეზღუდა ყველა დასაქმებულის მუშაობა, გარდა სამედიცინო და ფარმაცევტული ორგანიზაციების, გადაუდებელი დახმარების სამსახურების, კვებისა და მნიშვნელოვანი საქონლის პროვაიდერების, ასევე უწყვეტი ოპერაციული ციკლის საწარმოების თანამშრომლებისა.

მრავალ ქვეყანაში მკაცრი იზოლაციის და ბიზნესის შეფერხების გამო, გლობალურ ნავთობზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც გამოიწვია ნავთობის ჭარბი მიწოდება და მისი ფასების კლება.

ამ მოვლენებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, მათ შორის:

- ბიზნეს-ოპერაციების და ეკონომიკური საქმიანობების შეფერხება, უარყოფითი გავლენით მიწოდების ჯაჭვებზე და ხელშეკრულებების დარღვევაზე;
- მნიშვნელოვანი შეფერხება კონკრეტულ სექტორებში არსებულ საქმიანობებში, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ექსპორტზე ორიენტირებულ ბიზნესებში, უცხოურ ბაზრებზე მაღალი დაქვემდებარებით. სექტორები, რომლებზეც მეტად იმოქმედა შექმნილმა ვითარებამ მოიცავს მოგზაურობას და ტურიზმს, გართობის და სასტუმრო სექტორებს, ტრანსპორტირებას, ნავთობის ინდუსტრიას, სამშენებლო, ავტომობილების, დაზღვევისა და ფინანსურ სექტორებს;
- მნიშვნელოვანი კლება არაარსებითი საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაში;
- ზრდა ეკონომიკურ განუსაზღვრელობაში, რომელიც აქტივების მეტად არასტაბილურ ფასებზე და ვალუტის გაცვლით კურსებზე აისახა.

პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად მთავრობამ თავდაპირველად განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები, რაც მოიცავდა კომუნალური მომსახურების ღირებულების დაფარვას მარტიდან მაისამდე პერიოდში, ცხრა ძირითად კვების პროდუქტზე ფასების შენარჩუნებას, ასევე 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტის მოზიდვას საერთაშორისო დონორებისგან.

2020 წლის 24 აპრილს, საქართველოს პრემიერ მინისტრმა წარადგინა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფის შეხვედრაზე. გეგმაში განსაზღვრული იყო კოვიდ-19-ის გავლენის ქვეშ მყოფი ეკონომიკის აღდგენის, აქტივაციის და ხელახლა გახსნის გზები. ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები შედგება სოციალური დახმარების და ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტებისგან. ასევე, შეზღუდვების თანდათანობით აღმოფხვრის სქემისგან.

პანდემიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა გლობალურ ფინანსურ ინდუსტრიაზე და შესაბამისად ჯგუფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიაზე - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ზე. კერძოდ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ფლობს 250 მილიონი აშშ დოლარის ევრო ობლიგაციას (722,024 ათასი ლარი), რომლის დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილის თვე (გთხოვთ, იხილოთ მე-18 შენიშვნა). საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე არსებული ტურბულენტობის გათვალისწინებით, რეფინანსირება ნავთობისა და გაზის კორპორაციის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ელექტროსადგურმა „გარდაბანი II“, რომელმაც ფუნქციონირება 2020 წელს დაიწყო, უნდა გაზარდოს EBITDA-ს სტაბილურობა და გააუმჯობესოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ფულადი ნაკადები. თუმცა, ხელმძღვანელობის მოლოდინით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვერ შესძლებს საკმარისი შიდა ლიკვიდურობის სახსრების გენერირებას ევრო ობლიგაციების დასაფარად.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საბაზისო სცენარი და მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი შემდეგ დაშვებებზე დაყრდნობით:

სახელმწიფო უწყებები დამატებით მკაცრ ღონისძიებებს გაატარებენ კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ დაკისრებული მიმდინარე შეზღუდვების გახანგრძლივების ჩათვლით. წლის განმავლობაში დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი 3.25 ლარი გახდება.

ამ სცენარის საფუძველზე, ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ შესძლებს კაპიტალურ ბაზრებზე გასვლას 2020 წლის შემოდგომაზე არსებული ობლიგაციების რეფინანსირებისთვის და სხვაობა დაფინანსებიდან მიღებულ ფულადი ნაკადებს და არსებული ობლიგაციების დასაფარად გაღებულ ფულად ნაკადებს შორის 252,000 ათას ლარს შეადგენს, რომლის უმეტესი ნაწილი ელექტროსადგურის „გარდაბანი III“ მშენებლობაზე წავა.

ამ სცენარზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ 2020 წელს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სალაროს შემოსავალი კლიენტებისგან და წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან დაახლოებით 24% და 140%-ით (შესაბამისად) გაიზრდებოდა, 2019 წლის შესაბამის ფაქტიურ ისტორიულ ინფორმაციასთან შედარებით, რაც უმეტესად ელექტროენერგიის გამომუშავებას, კერძოდ „გარდაბანი II“-ის ფუნქციონირების დაწყებას უკავშირდება.

ხელმძღვანელობამ ასევე ჩაატარა საბაზისო სცენარის სტრეს-ტესტი, იმ დაშვების საფუძველზე, რომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები საბაზისო სცენარში, 2020 წელს 113,206 ათასი ლარით შემცირდება, რაც გამოიწვევდა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების 44,106 ათასი ლარის ოდენობით წმინდა ცვლილებას.

ამასთან, 2020 წლის სექტემბერში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრო ობლიგაციების რეფინანსირებისთვის, რომელთა დაფარვის ვადა 2021 წლის აპრილია. სესხის ძირი თანხა 217 მილიონი ევროა, ევრო-ლიბორის საპროცენტო განაკვეთით +3,3%, ხოლო ვადა 10 წელია (შენიშვნა 28).

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ, ზემოთ ხსენებული ანალიზის საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ საკმარისი რაოდენობით რესურსები ექნება განჭვრეტად მომავალში ფუნქციონირების გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამ დასკვნის შესაძლო შედეგების დიაპაზონი არ წარმოქმნის მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი.

კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა შვილობილმა კომპანიამ, სს „საქართველოს რკინიგზამ“ დროებით შეწყვიტა მგზავრების გადაყვანის მომსახურება, რამაც 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჯგუფის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 2% შეადგინა (2018 წ.: 2%). თუმცა, ზემოთ ხსენებული ღონისძიებების მიუხედავად, 2019 წლის 31 დეკემბრის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე უფლებამოსილების გაცემის თარიღის მდგომარეობით, საქართველოს რკინიგზა, მგზავრების გადაყვანის მომსახურებების გამოკლებით, ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობდა ფუნქციონირებას. მგზავრების გადაყვანა აღდგა, თუმცა შეზღუდვებით.
რაც შეეხება სხვა შვილობილ კომპანიებს - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“, მათ ოპერაციებს მთავრობის მიერ დაკისრებული შეზღუდვები არ შეხებია.

ამასთანავე, ჯგუფისთვის, როგორც ერთი მთლიანობისთვის, შვილობილი კომპანიის მნიშვნელობის და ჯგუფის უწყვეტი ფუნქცონირების დაშვებაზე არაპირდაპირი გავლენის გამო, ხელმძღვანელობამ გაანალიზა შპს „ენერგოტრანსის“ უწყვეტი ფუნქციონირების დაშვებები (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანია).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა მთლიანი ფინანსური შედეგები, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან, გაითვალისწინა ქვემოთ ჩამოთვლილი შემამსუბუქებელი ფაქტორები და დაასკვნა, რომ შპს „ენერგოტრანსს“ ექნება სათანადო ლიკვიდურობა მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად და რომ ხელმძღვანელობის დაშვება ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, შესაბამისია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ენერგოტრანსმა“ გასწია წმინდა ზარალი 26,426 ათასი ლარის ოდენობით (2018: წმინდა ზარალი 27,815 ათასი ლარი), ჰქონდა წმინდა მიმდინარე ვალდებულება 50,322 ათასი ლარის ოდენობით (2018: წმინდა მიმდინარე ვალდებულება 402,570 ათასი ლარის ოდენობით). ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ზემოთ ხსენებული დაშვება შემდეგ ფაქტებს და შეფასებებს ეფუძნება:

- 585,559 ათასი ლარის ოდენობით სესხები და კრედიტები ჯგუფს მართებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მთლიანი სესხების ნაშთში 564,903 ათასი ლარი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულების ხელშეკრულებას საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, იხილეთ შენიშვნა 18) მიმართ, ხოლო ნაშთი 20,656 ათასი ლარის ოდენობით, ფინანსთა სამინისტროს მიმართ არის.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე) მიღებულ იქნა მხარდაჭერის წერილი, რომლითაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ადასტურებს მის განზრახვას და უნარს დამატებითი ფინანსური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს შპს „ენერგოტრანსს“ (საჭიროების შემთხვევაში), რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილება. შპს „ენერგოტრანსის“ უნარი განაგრძოს არსებობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით და დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები, დიდად არის დამოკიდებული იმ მხარდაჭერაზე, რომელიც წარსულში იქნა მიღებული და ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მომავალშიც მიიღებს დახმარებას საქართველოს მთავრობისგან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე).
- ხელმძღვანელობის აზრით, ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები გაიზრდება 2021 წლიდან, რაც შემდგომში იმოქმედებს შპს „ენერგოტრანსის“ შემოსავალზე და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობა მოელის, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობა გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის გამო, რაც ხელს შეუწყობს ტარიფების და, შესაბამისად, შპს „ენერგოტრანსის“ შემოსავლის შემდგომ ზრდას. მოხმარების ზრდა ბოლო პერიოდში ხდებოდა და ხელმძღვანელობა მოელის, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.
- ამასთან შპს „ენერგოტრანსი“ ინარჩუნებს დღგ-ს ანაზღაურებად ნაშთს 5,699 ათასი ლარის ოდენობით (2018: 9,220 ათასი ლარი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც შესაძლოა გაიქვითოს შპს „ენერგოტრანსის“ საგადასახადო ვალდებულებების სანაცვლოდ.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ფონდის და ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტას და, შესაბამისად, ვალუტას რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 2(b) - ფუნქციონირებადი საწარმო: კოვიდ-19-ის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მსჯელობა;
- შენიშვნა 6 - ფასს 15-ით კლიენტისთვის მიცემული არსებითი უფლება - სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება;
- შენიშვნა 25 - გაზის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება.
- შენიშვნა 9(c) - ძირითადი საშუალებების გაუფასურება;
- შენიშვნა 22(c) - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი;
- შენიშვნა 30(i) (iii) - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები.
- შენიშნა 18 - სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას;
- შენიშვნა 6 - მთავრობის #923 გადაწყვეტილებით რეგულირებად ოპერაციებში აგენტის სახით მოქმედება;
- შენიშვნა 6 - აფხაზეთთან ოპერაციებში პრინციპალის სახით მოქმედება;
- შენიშვნა 23 - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ კონტროლის შეფასება; და
- შენიშვნა 1(c) - სს „საქრუსენერგოზე“ კონტროლის შეფასება;

ინფორმაცია იმ დაშვებების და შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 22(c) - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის;
- შენიშვნა 26(b) - პირობითი ვალდებულებები;
- შენიშვნა 9(c) - ძირითადი საშუალებების გაუფასურება: ანაზღაურებად ღირებულებასთან, მათ შორის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები და მგრძნობელობის ანალიზი;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შეფასების მეთოდებში გამოყენებულ შემავალ მონაცემებს, ესენია:

- *დონე 1*: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.
- *დონე 2*: შემავალი მონაცემები გარდა პირველ დონეში განსაზღვრულისა, რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე - ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3*: შემავალი მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შემავალი მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ჯგუფი აღიარებს გადატანებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 22(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

ფასს 16

ჯგუფმა ფასს 16 („იჯარა“) თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრიდან მიიღო. ფასს 16 განსაზღვრავს ერთიან საბალანსო აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის. შედეგად, ჯგუფი, როგორც მოიჯარე, აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებებს წარმოადგენს. მეიჯარის აღრიცხვა წინა სააღრიცხვო პოლიტიკების მსგავსია. ჯგუფმა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით გამოიყენა და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, ავანსების და დარიცხვების გათვალისწინებით. შესაბამისად, 2018 წლისთვის წარდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ გადაანგარიშებულა - ე.ი. ის წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ფასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკებში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის აღწერილი. ამასთან, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები ფასს 16-ში ზოგადად არ გამოყენებულა შესადარის ინფორმაციასთან მიმართებით.

(a) იჯარის განმარტება

ადრე, ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ჯგუფმა განსაზღვრა იყო ან მოიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17-ის *(„იჯარა“)* და ფასიკ 4-ის *(„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“)* საფუძველზე. ჯგუფი ახლა აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, იჯარის ახალი განმარტების საფუძველზე. ფასს 16-ის საფუძველზე, ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ გადასცემს.

ფასს 16-ზე გადასვლისას, ჯგუფი გეგმავს პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებას გარდამავალ ეტაპზე იჯარის განმარტების გამოსათავისუფლებლად. ის ფასს 16-ს იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ადრე იჯარებად იყო იდენტიფიცირებული. ხელშეკრულებები, რომლებიც იჯარებად არ იყვნენ იდენტიფიცირებული ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე, არ გადაფასდა იმაზე, არსებობს თუ არა იჯარა ფასს 16-ის საფუძველზე. შესაბამისად, ფასს 16-ის საფუძველზე იჯარის განმარტება გამოიყენება მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

(b) როგორც მოიჯარე

ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულებები, რომელშიც ის მოიჯარის სახით მოქმედებს, 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა ფასს 16-ის გამოყენებისას იმ იჯარებზე, რომლებიც ადრე ბასს 17-ით საოპერაციო იჯარებად იყო კლასიფიცირებული. კონკრეტულად, ჯგუფს არ უღიარებია გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები და ვალდებულებები იჯარებზე, რომლებსაც ვადა გასდით ფასს 16-ის *(„იჯარა“)* პირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში.

ჯგუფმა აღიარა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც უკავშირდება საოფისე ფართის იჯარას, მაგრამ აღიარებული თანხები უმნიშვნელოა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, იჯარებთან დაკავშირებით აღწერილია შენიშვნაში 30(p).

(c) როგორც მეიჯარე

ჯგუფი იჯარით გასცემს გაზის მილსადენს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, მის საკუთარ ქონებას, დაკავშირებულ მხარეზე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (იხილეთ შენიშვნა 27). ჯგუფმა მოახდინა ამ იჯარის საოპერაციო იჯარად კლასიფიკაცია ბასს 17 „იჯარების“ ფარგლებში, რადგან ის არ გადასცემდა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და ანაზღაურებას. ფასს 16-ზე („იჯარები“) გადასვლას არ ჰქონია გავლენა განხილულ იჯარებზე.

გაზის მილსადენის იჯარასთან ერთად, ჯგუფი იჯარით გასცემს ნავთობის მილსადენს და იღებს ტრანზიტის საფასურს, ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას იჯარის ვადის დასაწყისში, რადგან საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა მფლობელობასთან დაკავშირებულ, არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ბასს 17 „იჯარების“ ფარგლებში, ჯგუფმა მოახდინა აღნიშნული იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება (იხილეთ შენიშვნა 12). ფასს 16-ზე („იჯარები“) გადასვლას არ ჰქონია გავლენა განხილულ იჯარებზე.

ჯგუფი ასევე იჯარით გასცემს მის სხვა შენობა-ნაგებობებს, ვაგონებს, კონტეინერებს, ლოკომოტივებს და ხელსაწყოებს. ჯგუფმა ეს იჯარები საოპერაციო იჯარებად დააკლასიფიცირა.

ჯგუფი არ არის ჩართული ქვეიჯარის გარიგებებში.

(d) გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფასს 16-ზე გადასვლისას, ჯგუფს არ უღიარებია მნიშვნელოვანი დამატებითი გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ან დამატებითი საიჯარო ვალდებულებები. შედეგად, გადასვლის თარიღისთვის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ადგილი არ ჰქონია.

რამდენიმე სხვა ახალი სტანდარტი ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ აქვთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის ბასს 23-ის („ნასესხები სახსრები“) შესწორებები.

6. შემოსავალი

'000 ლარი	2019	2018
შემოსავალი ელექტროენერგიიდან		
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვა	362,140	319,039
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	164,063	156,115
ელექტროენერგიის გადაცემა	181,107	175,261
ელექტროენერგიის წარმოება	105,130	93,188
ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია	44,143	32,756
შემოსავალი ტრანზიტიდან	1,680	202
სულ შემოსავალი ელექტროენერგიიდან	**858,263**	**776,561**
შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენებიდან		
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
გაზის რეალიზაცია	576,123	361,655
შემოსავალი ნედლი ნავთობიდან	15,105	11,486
სხვა შემოსავალი		
გაზის მილსადენების იჯარა	43,059	42,053
ნავთობის ტრანსპორტირების საფასური	21,168	18,367
სულ შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენებიდან	**655,455**	**433,561**
შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან		
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ტვირთის გადაზიდვა	373,913	292,963
ლოგისტიკური მომსახურება	48,814	70,318
მგზავრების გადაყვანა	31,138	27,404
სატვირთო ვაგონის ტრანსსასაზღვრო ხარჯი	14,156	17,468
სხვა შემოსავალი		
ვაგონების იჯარა და სხვა საიჯარო შემოსავალი	16,090	11,297
სულ შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან	**484,111**	**419,450**
ჯანდაცვის სფეროს ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**23,270**	**27,486**
სულ სხვა ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**51,626**	**48,316**
სულ შემოსავალი	**2,072,725**	**1,705,374**

სარკინიგზო გადაზიდვები, საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდება და გადაცემა და ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია საქართველოს ბუნებრივი მონოპოლიებს წარმოადგენს.

<u>შემოსავალი ელექტროენერგიიდან</u>

საბალანსო ელექტროენერგიის ფასები განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ბრძანების „ელექტროენერგიის (სიმძლავრე) ბაზრის წესები“ შესაბამისად. ფიქსირებული ტარიფი ერთ კვ/სთ-ზე 0,00019 ლარი ჯგუფის მომსახურებისთვის განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მიერ 2008 წლის 4 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით.

ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეჩერიზაციის ტარიფებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“) ადგენს. ტარიფები არ შეცვლილა 2018 წლის შემდეგ.

„ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, 2010 წლის სექტემბრის შემდეგ საქართველოს ელექტროენერგიის სისტემის სტაბილურობა, უსაფრთხოება და სანდოობა უზრუნველყოფილია გარანტირებული სიმძლავრით. თბოელექტროსადგურები, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, წარმოადგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს. თითოეული წყაროს გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ მოცულობას და გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდს საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ თანახმად, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას ექსკლუზიურად ახდენს ჯგუფის საწარმო: სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ (ESCO). 2014 წლის 31 აგვისტომდე სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორი“ („ესკო“) მოქმედებდა აგენტის უფლებამოსილების ფარგლებში და არა როგორც პრინციპალი ამ ოპერაციებში. კანონმდებლობის ცვლილების შემდეგ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ესკო გარანტირებული სიმძლავრის გარიგებაში მოქმედებს პრინციპალის სახით.

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მუხლი 38.2-ის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ელექტროენერგია უნდა მიაწოდოს აფხაზეთს, მისი მიმწოდებლების მიერ მიწოდების დეფიციტის შემთხვევაში. იმავე მუხლის (38.2) თანახმად, აფხაზეთისთვის მიწოდებული ოდენობა უნდა დაუბრუნდეს ესკოს, ელექტროენერგიის სახით. ამის შემდეგ ესკოს შეუძლია გადაყიდოს იგივე ელექტროენერგია სხვა კონტრაგენტებზე, საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობის იმავე პირობებით. 2019 წელს აფხაზეთისთვის მიწოდებულმა ელექტროენერგიამ 12,700 ათასი ლარი (2018: ნული) შეადგინა, საბალანსო ელექტროენერგიის სახით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისაღები ელექტროენერგიის საფასური 5,400 ათასი ლარი (2018: ნული) იყო, რომელიც შემდგომში ესკოს დაუბრუნდა, 2020 წელს. გარიგება აფხაზეთთან აღირიცხება საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვიდან შემოსავლის ქვეშ, რადგან ესკო პრინციპალის სახით მოქმედებს გარიგებაში, ისევე როგორც საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობის სხვა გარიგებებში.

2018 წლის განმავლობაში, ესკომ იმოქმედა ფინანსური აგენტის სახით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული #923 გადაწყვეტილების საფუძველზე მომსახურებების გაწევის პროცესში. 2015 წლის 9 აპრილს საქართველოს და თურქეთის მთავრობებმა გააფორმეს ენერგეტიკულ სექტორში თანამშრომლობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების #11 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა დაეთანხმა მთლიანად 1.000.000.000 კვ/სთ მოცულობის ელექტროენერგიისთვის ვალის თურქეთისთვის დაბრუნებას. სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ საქართველოს მხრიდან განისაზღვრა ელექტროენერგიის მიმწოდებლად, ხოლო თურქეთის მხრიდან შეირჩა ელექტროენერგიის სავაჭრო კომპანია „TETAS“.

გადაწყვეტილება #923 თანახმად, ესკომ მიიღო ბრძანება შეეძინა ელექტროენერგია ენგურის ჰიდროელექტროსადგურისგან და მომსახურების ორგანიზაციებისგან და მისი „TETAS“-სთვის უფასოდ მიწოდება განეხორციელებინა. 2018 წელს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურისგან და მომსახურების ორგანიზაციებისგან შეძენილი ელექტროენერგიის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 6,465 ათასი ლარი. იმავე #923 გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობა ზემოთ ხსენებულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ნახევარს დაფარავს ესკოს გაუნაწილებელი მოგებიდან, ხოლო ხარჯების დანარჩენ ნაწილს დაფარავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ნაღდი ფორმით.

გადაწყვეტილების #923 საფუძველზე ელექტროენერგიის შესყიდვის და მიწოდების ოპერაციებში ესკო მოქმედებდა შუამავლის სახით საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის. ამ ოპერაციებში ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ ესკო მოქმედებს აგენტის, და არა პრინციპალის სახით.

ხელმძღვანელობამ აგენტსა და პრინციპალს შორის შემდეგი ფაქტორები განასხვავა:

- ესკო არ იღებს საკუთრების უფლებას საქონელზე და არ კისრულობს პასუხისმგებლობას გაყიდულ საქონელთან მიმართებაში.
- ესკო არ ირჩევს კლიენტს და/ან ელექტროენერგიის მომწოდებელს ელექტროენერგიის შესაძენად.
- ესკო არ გასწევს რაიმე სახის საკრედიტო რისკს ელექტროენეგიის შეძენაზე.
- ესკო ვერ იმოქმედებს გასაყიდ ფასებზე, რომლებიც არ უნდა განსხვავდებოდეს ელექტროენერგიის მომწოდებლის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ფასისგან.

<u>შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენებიდან</u>

ჯგუფი იჯარით გასცემს გაზის მილსადენს და შესაბამის ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC - სახელმწიფო 100%-იან მფლობელობაში მყოფი კომპანია ჯგუფის მიღმა). იჯარის ხელშეკრულება არ არის გაუქმებადი და ის მოქმედებს 2021 წლის 1 იანვრამდე. 2011 წლის სექტემბრიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე საიჯარო გადასახდელები დაანგარიშდა იჯარით აღებული გაზის მილსადენით გადაზიდული გაზის მოცულობის საფუძველზე, განაკვეთით 6.80 აშშ დოლარი 1.000 კუბურ მეტრზე. 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის მარტის თვემდე, იჯარის საფასური თვეში 3,500 ათასი ლარით განისაზღვრა (დღგ-ს გამოკლებით), ხოლო 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე თვის საიჯარო საფასური 3,600 ათასი ლარით განისაზღვრა (დღგ-ს გამოკლებით). 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ, ფიქსირებული საიჯარო საფასური წელიწადში 43,000 ათასი ლარია (დღგ-ს გამოკლებით). GGTC პასუხს აგებს ყველა ხარჯზე, რომელიც უკავშირდება გაზის მთავარი მილსადენის სისტემის შეკეთებას, ტექნიკურ მომსახურებას, ფუნქციონირებას და უსაფრთხოებას. ჯგუფი პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალურ დანახარჯებზე.

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მიიღება აზერბაიჯანიდან თურქეთში ბაქო-სუფსის მილსადენით გადაზიდული ნავთობიდან.

<u>შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან</u>

2017 წლის 28 სექტემბერს, შპს „ჯიარ ტრანზიტმა“ გააფორმა ხელშეკრულება ფიქსირებულ ფასად ტრანსპორტირების შესახებ (SoP) უცხოურ კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის კომპანიას ტრანსპორტირებაში უნდა გადაეხადა ჯგუფის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, ასევე თურქმენეთიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გადაზიდული ნავთობის წლიური რაოდენობის 50% 2018 წლის ბოლომდე, იმის მიუხედავად ამგვარ ტრანსპორტირებას ჰქონდა თუ არა ადგილი. ფიქსირებულ ფასად ტრანსპორტირების შესახებ ხელშეკრულებიდან შემოსავალი არ აღიარებულა 2019 წელს (2018: 23,471 ათასი ლარი).

სარკინიგზო ტრანსპორტირება საქართველოში ჩვეულებრივი მონოპოლიაა, თუმცა ფასები არ ექვემდებარება სახელმწიფო რეგულაციას. საქართველოს რკინიგზის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, რომელიც 2005 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში, ხელისუფლებამ ჯგუფს მისცა უფლება განსაზღვროს ფასები ყველა გაწეული მომსახურებისთვის, მათ შორის ტვირთის ტრანსპორტირების, ტვირთვის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებების და მგზავრთა გადაყვანის ჩათვლით.

ტვირთვის გადაზიდვის ტარიფები ეფუძნება საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფს. ჯგუფი სატარიფო ხელშეკრულების თანა-ხელმომწერია დსთ-ს ქვეყნებთან, ლატვია, ლიტვა და ესტონეთთან ერთად. ხელშეკრულების მხარეები ყოველწლიურად ატარებენ კონფერენციებს მომდევნო წლისთვის სატარიფო პოლიტიკის განსასაზღვრად: თითოეული მხარე აცხადებს შვეიცარიულ ფრანკში გამოხატულ ტარიფებს სარკინიგზო ტრანსპორტირებისთვის და ადგენს ზოგად წესებს, რომლებიც ეხება და ცვლის ტარიფებს. შეთანხმებული ტარიფები მიუთითებს მოქმედი ტარიფების მაქსიმალურ დონეს.

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების დანაწევრება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავალი იყოფა ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, შემოსავლის მთავარი წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

'000 ლარი	სარკინიგზო გადაზიდვები		გაზის მიწოდება		ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება		საძიებო საქმიანობები		სხვა	
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები	**2019**	**2018**	**2019**	**2018**	**2019**	**2018**	**2019**	**2018**	**2019**	**2018**
ადგილობრივი	453,865	390,685	576,123	361,655	850,539	757,273	15,105	11,486	74,896	75,802
უცხოური	14,156	17,468	-	-	7,724	19,288	-	-	-	-
სულ	**468,021**	**408,153**	**576,123**	**361,655**	**858,263**	**776,561**	**15,105**	**11,486**	**74,896**	**75,802**

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოთხოვნების შესახებ.

'000 ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები, რომლებიც შესულია სავაჭრო მოთხოვნების კატეგორიაში	376,971	246,964
სახელშეკრულებო ვალდებულებები (შენიშვნა 6(c))	(4,621)	-

ბიზნეს-ოპერაციების ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფს არ აქვს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო აქტივები.

(c) არსებითი უფლება

გაზის მიწოდების ყველაზე მნიშვნელოვან კლიენტთან ხელშეკრულების თანახმად, კლიენტმა უნდა მიიღოს 15-დოლარიანი ფასდაკლება ე.წ. „სოციალური გაზის“ (საქართველოს მოსახლეობის მიერ მოსახმარებელი გაზი) თითოეულ ათას კუბურ მეტრზე, რომელიც გაიყიდება 2020 წლის ბოლომდე („საშეღავათო პერიოდი“). თავის მხრივ, ჯგუფმა იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს 15-დოლარიანი ფასდაკლება ბუნებრივი აირის ყოველ კუბურ მეტრზე, კლიენტის მიერ საშეღავათო პერიოდში საქართველოს მოსახლეობისთვის იმავე მოცულობის მიყიდულ გაზზე. კლიენტზე გაზის ფასდაკლებულ ფასად მიყიდვა ჯგუფის მიერ 2021-2025 წლებში მოხდება („საკომპენსაციო პერიოდი“).

ფასს 15-ის (*„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“*) მოთხოვნების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფის მიერ კლიენტისთვის გაკეთებული შეთავაზება შეეძინა დამატებითი გაზი საწყის ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლებ ფასად, კლიენტს ანიჭებს უფლებას შეიძინოს დამატებითი საქონელი ისეთ ფასად, რომელიც არ ასახავს განცალკევებულ სარეალიზაციო ფასს. შედეგად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს შესაძლებლობა წარმოადგენს არსებით უფლებას, რომელიც შესასრულებელ მოვალეობას წარმოქმნის.

შედეგად, შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელმაც 4,621 ათასი ლარი შეადგინა, აღიარდა ჯგუფის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. აღნიშნული აღიარდება როგორც შემდგომი პერიოდის შემოსავალი, როდესაც სავარაუდო განცალკევებული სარეალიზაციო ფასი აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ ღირებულებას, რაც შესაძლოა წარმოიშვას საკომპენსაციო პერიოდის ბოლო ორი წლის განმავლობაში, კერძოდ 2024 და 2025 წლებში.

პერიოდის დასაწყისში არ არსებობდა სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი, რომელიც შემოსავლად აღიარდება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდში არ აღიარებულა შემოსავალი წინა პერიოდებში დაკმაყოფილებული (ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული) შესასრულებელი ვალდებულებებიდან.

(d) შესასრულებელი მოვალეობების და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. ჯგუფი შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს გადასცემს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესასრულებელი მოვალეობების ხასიათის და დაკმაყოფილების ვადების, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

შემოსავლის სახეობა	შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება	შესასრულებელი მოვალეობა დაკმაყოფილდება ელექტროენერგიის საბითუმო მოვაჭრისთვის მიწოდების და მისი მოხმარებისას. ინვოისი გაიცემა ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლოს.	შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად, საბითუმო მოვაჭრეების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე. მოხმარებული ელექტროენერგია მეტრებით ფასდება. სიმძლავრის საფასური ფასდება მარეგულირებელი აქტივების ბაზის (RAB) შეფასების საფუძველზე, ხოლო ფიქსირებული ყოველდღიური გადახდა ხორციელდება 365 დღიდან 300 დღის განმავლობაში.
საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვა; შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	მომხმარებლებთან (ადგილობრივი და უცხო ქვეყნის) გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდვის განხორციელებისას, კლიენტები ელექტროენერგიაზე კონტროლს იღებენ ნასყიდობის მომენტში. ჯგუფი ტარიფს ყოველთვიურად ანგარიშობს,	შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევასთან ერთად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.

შემოსავლის სახეობა	შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
	იმ პერიოდისთვის შეძენილი ელექტროენერგიის ფაქტიური ფასების საფუძველზე. გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებებს ადგილი არ ჰქონია.	
ელექტროენერგიის გადაცემა; **ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია**	ჯგუფი ელექტროენერგიის გადაცემით მიღებულ შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის მომსახურებაზე კონტროლის გადაცემისას. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევისას, თვის განმავლობაში გადაცემული და განაწილებული ელექტროენერგიის მოცულობის და მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფის საფუძველზე. კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს ფასდაკლებებს. ინვოისები ყოველთვიურად გადაიხდება.	შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად. პროგრესის შეფასება ეფუძნება გადაცემული და განაწილებული ელექტროენერგიის ფაქტიურ მოცულობას.
ბუნებრივი აირის რეალიზაცია	კლიენტები გაზზე კონტროლს იღებენ მისი მილსადენით კლიენტისთვის მიწოდებისას. ინვოისები გაიცემა მომდევნო საანგარიშგებო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, გადასახადის ნაწილი წინასწარ (თითოეული თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა) გადაიხდება, ხოლო დანარჩენი თანხა გადაიხდება საანგარიშგებო თვის შემდგომი თვის ბოლოსთვის. შეთანხმების თანახმად, გადახდის დაგვიანების ჯარიმა დაირიცხება დაუფარავ ნაშთზე, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან. მეორე სახეობის შემთხვევაში, გადახდის პირობები განსხვავებულია თითოეული კლიენტისთვის, თუმცა უმეტეს შემთხვევებში გადახდა უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, მომდევნო საანგარიშგებო თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა.	შემოსავალი აღიარდება გაზის მიწოდების წერტილში მიწოდებისას (წინასწარ განსაზღვრული თითოეულ მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში), ე.ი. დაკმაყოფილდება გაზის მიწოდების შესასრულებელი ვალდებულება. გარიგების ფასი მოიცავს გაზის თვითღირებულებას და დაგვიანებული გადახდისთვის დარიცხულ ჯარიმებს, ცვლადი საზღაურის სახით, და გამორიცხავს ცვლადი საზღაურის შეფასებებს, რომლებიც ნაწილდება აღნიშნულ შესასრულებელი ვალდებულებაზე.
საძიებო საქმიანობები/შემოსავალი ნედლი ნავთობის რეალიზაციიდან	შესასრულებელი მოვალეობა დაკმაყოფილდება იმ დროს, როდესაც ჯგუფი დანიშნულების ადგილზე მიაწვდის კლიენტს პროდუქტს (ფრანკო საწარმო - საერთაშორისო კომერციული პირობები (Incoterms). ინვოისი გაიცემა ნავთობის გაყიდვისას, ხოლო გადახდის პირობები ინდივიდუალურ კლიენტთან თანხმდება, ხელშეკრულების საფუძველზე.	შემოსავალი ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება ნავთობის კომპანიის ობიექტებიდან კლიენტებისთვის გადაზიდვის/მიწოდებისას.

შემოსავლის სახეობა	შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ტვირთის გადაზიდვა, ლოგისტიკური მომსახურებები და მგზავრების გადაყვანა	ტვირთის გადაზიდვა, ლოგისტიკური მომსახურებები და მგზავრების გადაყვანიდან მიღებული შემოსავლის წყაროები უნდა აღიარდეს „დროთა განმავლობაში“, რადგან ტრანსპორტირება მომსახურებაა, რომლის დროსაც კლიენტი იღებს და ამავდროულად მოიხმარს სარგებელს, ჯგუფის მიერ ვალდებულებების შესრულების პროცესში. კლიენტი სარგებელს იღებს მგზავრობისას გავლილი მანძილის სახით.	შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის თანხის განსასაზღვრად საბოლოო ეტაპი ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე სავაუდო დროის საფუძველზე.
სატვირთო ვაგონის ტრანსსასაზღვრო ხარჯი	სატვირთო ვაგონის ტრანსსასაზღვრო ხარჯის ნაკადი უნდა აღიარდეს „დროთა განმავლობაში“, რადგან ეს არის მომსახურება, რომლის დროსაც კლიენტი იღებს და ამავდროულად მოიხმარს სარგებელს, ჯგუფის მიერ ვალდებულებების შესრულების პროცესში.	შემოსავალი ამგვარი მომსახურებებიდან დროთა განმავლობაში აღიარდება.
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	ჯანდაცვის სფეროდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდება „დროთა განმავლობაში“, მომსახურების გაწევისას.	შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად.
სხვა - ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი; შემოსავალი გაწეული მომსახურებების ფიქსირებული ტარიფებიდან და სხვა	**ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი -** ადგილობრივ და უცხოელ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილის სახით, კლიენტები ელექტროენერგიაზე კონტროლს იღებენ ნასყიდობის მომენტში. ჯგუფი ტარიფს ყოველთვიურად ანგარიშობდა, იმ პერიოდისთვის შეძენილი ელექტროენერგიის ფაქტიური ფასების საფუძველზე. **გაწეული მომსახურებების ფიქსირებული ტარიფი -** მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდვისას, ჯგუფი მომსახურების გაწევისთვის ფიქსირებულ ტარიფს იღებდა. ტარიფის დარიცხვა ხდება ელექტროენერგიის შეძენის მომენტში. გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებებს ადგილი არ ჰქონია. **სხვა -** სხვა შემოსავალი აღიარდება გაყიდვის დაწყების და საქონელზე კონტროლის გადაცემისას.	**ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი -** შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე. **გაწეული მომსახურების ფიქსირებული ტარიფი -** შემოსავალი აღიარდება გაყიდვის მომენტში. **სხვა** - შემოსავალი აღიარდება ჯგუფის საწყობში კლიენტების მიერ საქონლის მიღებისას.

7. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
გაზის და ნავთობის თვითღირებულება	617,269	367,473
გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	392,042	341,063
სარკინიგზო ტრანსპორტირებაში გამოყენებული ელექტროენერგია და მასალები	47,921	43,708
გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების თვითღირებულება	44,067	40,347
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	43,642	44,242
ლოგისტიკური მომსახურება	20,182	17,636
გაწეული სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება	9,844	10,313
სატვირთო ვაგონების იჯარა	3,780	4,177
სხვა*	133,366	143,064
	1,312,113	**1,012,023**

*ზემოთ მოცემული სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორული ფირმისთვის აუდიტორული და სხვა პროფესიონალური მომსახურებებისთვის გადახდილ მომსახურების საფასურს 60 ათასი ლარის (2018: 36 ათასი ლარი) ოდენობით.

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე	47,300	63,673
დისკონტირების ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ მოთხოვნაზე დაკავშირებული მხარის მიმართ	2,549	2,780
დისკონტირების ამორტიზაცია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე	5,280	4,981
ფინანსური შემოსავალი	**55,129**	**71,434**
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(103,577)	(141,859)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(199,442)	(66,215)
დისკონტირების ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე	(4,825)	(5,799)
სხვა ფინანსური ხარჯები	(225)	(149)
ფინანსური ხარჯები	**(308,069)**	**(214,022)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(252,940)**	**(142,588)**

9. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა, შენობა-ნაგებობები	სარკინიგზო ინფრასტრუქტურა	ელექტრო-ენერგიის წარმოების ერთეული	გაზის და ნავთობის მილსადენები	ნავთობის ჭაბურღილები	ელექტრო-ენერგიის გადამცემი ხაზები	ტრანსპორტი, მანქანა-დანადგარები და სხვ.	დაუსრულებელი და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა*	სულ
თვითღირებულება ან პირობითი ღირებულება									
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	978,684	956,137	391,429	411,797	35,404	458,457	1,928,890	1,368,348	6,529,146
შესყიდვები	23,687	5,694	-	95	-	-	21,699	596,931	648,106
შესყიდვები საწარმოთა გაერთიანებების გზით	43,795	-	-	-	-	-	15,084	-	58,879
გასხვისება და ჩამოწერა	(2,162)	(2,495)	-	(694)	-	-	(30,217)	(8,510)	(44,078)
შვილობილ კომპანიაში მფლობელობის წილის გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-	(19,657)	(19,657)
გადაცემა/რეკლასიფიკაცია	2,934	7,663	214	20,099		3,538	8,836	(43,284)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**1,046,938**	**966,999**	**391,643**	**431,297**	**35,404**	**461,995**	**1,944,292**	**1,893,828**	**7,172,396**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,046,938	966,999	391,643	431,297	35,404	461,995	1,944,292	1,893,828	7,172,396
შესყიდვები	9,548	5,232	-	2,055	-	-	53,160	453,890	523,885
გადატანები საინვესტიციო ქონებაში (9(e))	(59,335)	-	-	-	-	-	-	-	(59,335)
გასხვისება და ჩამოწერა	(697)	(1,764)	-	-	(17)	-	(21,383)	(25,922)	(49,783)
გადაცემა/რეკლასიფიკაცია	4,422	11,098	4,016	12,179	18	3,142	52,156	(87,031)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,000,876**	**981,565**	**395,659**	**445,531**	**35,405**	**465,137**	**2,028,225**	**2,234,765**	**7,587,163**
ცვეთა და გაუფასურების ზარალი									
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	114,221	345,954	37,397	153,114	25,430	213,124	884,137	372,146	2,145,523
ცვეთა წლის განმავლობაში	7,796	57,840	15,319	18,210	966	14,737	86,428	-	201,296
გასხვისება და ჩამოწერა	(841)	(868)	-	(398)	-	-	(15,158)	(57)	(17,322)
გაუფასურების ზარალი	166,967	154,883	-	-	-	11,990	150,142	250,110	734,092
გადაცემა/რეკლასიფიკაცია	-	-	-	3,225	-	-	-	(3,225)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**288,143**	**557,809**	**52,716**	**174,151**	**26,396**	**239,851**	**1,105,549**	**618,974**	**3,063,589**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	288,143	557,809	52,716	174,151	26,396	239,851	1,105,549	618,974	3,063,589
ცვეთა წლის განმავლობაში	6,718	45,359	16,723	18,195	700	12,490	75,279	-	175,464
გასხვისება და ჩამოწერა	(299)	(1,406)	-	(133)	-	-	(13,965)	(59)	(15,862)
გაუფასურების ზარალი	282	-	-	-	-	1,418	3,052	338	5,090
გადაცემა/რეკლასიფიკაცია	54	2,908	-	952	-	-	52	(3,966)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**294,898**	**604,670**	**69,439**	**193,165**	**27,096**	**253,759**	**1,169,967**	**615,287**	**3,228,281**
საბალანსო ღირებულებები									
2018 წლის 31 დეკემბერს	758,795	409,190	338,927	257,146	9,008	222,144	838,743	1,274,854	4,108,807
2019 წლის 31 დეკემბერს	**705,978**	**376,895**	**326,220**	**252,366**	**8,309**	**211,378**	**858,259**	**1,619,478**	**4,358,883**

*დაუმონტაჟებელი მოწყობილობები მოიცავს გაზის მილსადენებს და ტურბინებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ექსპლუატაციაში. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, თითქმის შეუძლებელია თერმული ელექტროსადგურის ნაწილების სწრაფად ყიდვა გადაუდებელ ვითარებებში. შესაბამისად, ჯგუფი იძულებულია დამატებითი მარაგი იქონიოს. დაუმთავრებელი მშენებლობები უმეტესად მოიცავს გაზის მილსადენებთან და მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებულ მშენებლობასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

(a) დაუმთავრებელი მშენებლობა

2010 წლის ბოლოს ჯგუფმა წამოიწყო რკინიგზასთან დაკავშირებული ორი მსხვილი კაპიტალური პროექტი: მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაცია და თბილისის შემოვლითი გზა. ჯგუფმა ზემოთ ხსენებული პროექტები 2010 წლის სექტემბერსა და 2010 წლის ნოემბერში (შესაბამისად) წამოიწყო. ჯგუფმა 2010 წელს გამოსცა არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ზემოთ ხსენებული პროექტების ნაწილობრივ დასაფინანსებლად. 2012 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოიხმო 2010 წელს გამოშვებული ობლიგაციები ზოგადი კორპორატიული და ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის ახალი ობლიგაციების გამოშვების გზით (იხ. შენიშვნა 18(a)).

ნასესხები სახსრები კაპიტალიზებულ იქნა ზემოთ ნახსენებ ორ პროექტზე, მათზე გაწეული ხარჯების პროპორციულად, დაახლოებით 8%-ის ოდენობით კაპიტალიზაციის ნორმის საფუძველზე (2018: 8%). კაპიტალიზებული ნასესხები სახსრები 73,518 ათასი ლარის ოდენობით 2019 წელს უკავშირდება მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პროექტს (2018: 57,114 ათასი ლარი).

კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II-ის მშენებლობასთან დაკავშირებულმა კაპიტალიზებულმა ნასესხებმა სახსრებმა 33,174 ათასი ლარი (2018: 7,050 ათასი ლარი) შეადგინა, კაპიტალიზაციის ნორმით 6.75%. 2019 წლის განმავლობაში, დღგ-ს სახით დაბრუნდა 23,891 ათასი ლარი (2018: 16,000) კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური გარდაბანი II-ის მშენებლობის ნასყიდობებისთვის.

ქსნის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობასა და გაძლიერებასთან, გადამცემი ქსელის გამაგრების პროექტთან და გადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო პროექტებთან დაკავშირებულმა კაპიტალიზებულმა ნასესხებმა სახსრებმა 6,813 ათასი ლარი (2018: 5,521 ათასი ლარი) შეადგინა, კაპიტალიზაციის ნორმით 2.78% (2018: 2.69%).

(b) თბილისის შემოვლითი გზის პროექტის (შემდგომში „პროექტი“) გაუფასურება

2013 წლის ივნისში, ჯგუფმა გაახმაურა გადაწყვეტილება თბილისის შემოვლითი გზის პროექტის გადაპროექტების შესახებ. ჯგუფმა მოლაპარაკებები აწარმოა საქართველოს მთავრობასთან და მთავარ მესამე მხარე სამშენებლო კომპანიებთან, გადაპროექტების ვადის განმავლობაში პროექტის დაკონსერვების გეგმის შესათანხმებლად. ყველა დაუმთავრებელი სამშენებლო სამუშაო არსებითად დასრულებული იყო 2013 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის, შემდგომი სამუშაოები შეჩერდა. 2013 წლის ოქტომბრის შემდეგ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია არ მომხდარა.

2014 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის 18 თვით შეჩერების შესახებ, სანამ არ იქნებოდა წარმოდგენილი საბოლოო მოდიფიცირებული პროექტი.

2015-2016 წლებში, ჯგუფი აწარმოებდა განხილვებს თბილისის მერიასა და საქართველოს მთავრობასთან პროექტის დასრულების სხვადასხვა სცენართან დაკავშირებით. ერთ-ერთი განსახილველი სცენარი მოიცავდა შემოვლითი გზის საწყისი ადგილმდებარეობის ცვლილებას, რის გამოც არსებული შემოვლითი გზის ინფრასტრუქტურა შესაძლოა უფუნქციო გამხდარიყო. ალტერნატიული სცენარები ასევე მოიცავდა არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ ის უფუნქციო გახდებოდა. ინფრასტრუქტურის სამომავლო გამოყენების ვარიანტები ასევე მოიცავს შემოვლით საავტომობილო გზას, თბილისის მეტროპოლიტენის სისტემის გაფართოებას და ტვირთის დასაწყობების სადგურს, თუმცა, 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით საქართველოს მთავრობს თბილისის შემოვლითი გზის პროექტის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

არსებული პროექტის გაგრძელებასთან ან ნებისმიერი სხვა სცენარის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობების გამო, რაც მოიცავდა პროექტის ცვლილებას და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ პროექტი ჯგუფს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს ინდივიდუალურად ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, პროექტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერა 382,616 ათასი ლარით 2017 წელს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, რომელიც 14,689 ათას ლარამდე, რაც მოიცავდა მიწის ნაკვეთს, რომელიც შესული იყო ზემოთ განსაზღვრულ დაუმთავრებელ მშენებლობაში.

2019 და 2018 წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის მოვლენას ან ვითარებების ცვლილებას, რაც გამოიწვევდა ანარიცხის ამოტრიალებას.

(c) ძირითადი საშუალებების გაუფასურება (თბილისის შემოვლითი გზის პროექტის გარდა)

<u>სს „საქართველოს რკინიგზა“:</u>

2018 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფმა ტრანსპორტირებული ტვირთის მოცულობის გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა (2012 წლის 5,899 მილიონი მეტრული ტონა ერთ კილომეტრ ტვირთზე 2018 წლის 2,747 მილიონ მეტრულ ტონამდე ერთ კილომეტრ ტვირთზე) და ტვირთის ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავლის (350,749 ათასი ლარი 2012 წელს, 241,572 ათასი ლარი 2018 წელს) მნიშვნელოვანი კლების გამო. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, 2018 წელს ჯგუფმა აღიარა 691,387 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი და ის პროპორციულად გადანაწილდა ძირითადი საშუალებების ერთეულებზე, მაგრამ არანაკლებ ინდივიდუალური ერთეულების გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებისა.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის გამოყენების ღირებულებას დაეფუძნა, რომელიც განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის უწყვეტად სარგებლობით წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზარზე ცვლილების საპასუხოდ, რამაც გამოიწვია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის რამდენიმე მოლოდინის ცვლილება, ჯგუფმა გადააფასა მისი შეფასება და ახალი გაუფასურების ტესტი ჩაატარა. შედეგად, არ აღიარებულა არც დამატებითი გაუფასურება და არც ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის ამოტრიალება.

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოიყენება შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვა ხდება ხუთი წლის ფაქტიური საოპერაციო შედეგების და ფულადი ნაკადების, ასევე საბოლოო ზრდის განაკვეთის საფუძველზე. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი ბოლო პერიოდისთვის განისაზღვრება, როგორც მიახლოებითი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის და იმ რეგიონებისთვის, რომლებიც ჯგუფის ოპერაციებზე მოქმედებენ.
- მოცულობების პროგნოზირება ეფუძნება 2020 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებულ ოდენობებს, რაც იცვლება საქართველოს მშპ-ს ზრდის 4.9%-იანი განაკვეთით, 2024 წლამდე. 2025 წლისთვის მოცულობების ზრდა არ არის პროგნოზირებული. ზემოთ მითითებულ რაოდენობებთან გამოსაყენებელი ტარიფები დაიგეგმა მტ/ტონა კილომეტრზე განსაზღვრული ტარიფის საფუძველზე 2020 წლისთვის, რომელიც იცვლება აშშ-ს სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროგნოზების მიხედვით. პროგნოზმა გამოიწვია 1.9%-იანი და 2,1%-იანი ზრდა პირველი ორი საპროგნოზო წლის განმავლობაში და 1.7%-იანი ზრდა დარჩენილი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში;

- ფულადი ნაკადები მოიცავს ტექნიკური მომსახურების წლიურ კაპიტალურ დანახარჯებს და მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პროექტის დასრულებისთვის განხორციელებულ გადახდებს. საპროგნოზო ფულადი ნაკადები მოიცავს 55 მილიონ აშშ დოლარს, რომელიც ზემოთ ხსენებულ მოდერნიზაციის პროექტს უკავშირდება. მოსალოდნელია, რომ ზემოთ ხსენებული პროექტის დასრულება 10%-ით შეამცირებს დაგეგმილ ელექტროენერგიის და მატერიალურ ხარჯებს 2022 და 2023 წლებში;
- ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოიყენება 11.01%-იანი წინა საგადასახადო დისკონტირების განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ უკუგების კოეფიციენტს მსგავსი კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე (აშშ დოლარში გამოხატული). გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი ბოლო პერიოდისთვის გრძელვადიან ინფლაციის პროგნოზს უახლოვდება აშშ დოლარისთვის, რაც 2%-ს შეადგენს.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მგრძნობიარეა გამოთვლები, მოიცავს შემდეგს:

- დისკონტირების განაკვეთი - 1%-იანი ზრდა გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში დაახლოებით 180 მილიონი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს გამოიწვევს;
- მოცულობის ზრდა - ტრანსპორტირებული მოცულობის პროგნოზების 5%-იანი კლება გამოიწვევდა დაახლოებით 135 მილიონი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს;
- საბოლოო ზრდა - 1%-იანი კლება გამოყენებულ საბოლოო ზრდის განაკვეთში 130 მილიონი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს გამოიწვევდა.

<u>შპს „ენერგოტრანსი“</u>

2019 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ გამოავლინა ჯგუფის შვილობილი კომპანიის - შპს „ენერგოტრანსის“ ძირითადი საშუალებების („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“) გაუფასურების მაჩვენებელი, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ 2019 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები დაგეგმილზე ნაკლები იყო, რაც უმეტესად გამოწვეული იყო ელექტროენერგიის გადაცემიდან დაგეგმილი ფულადი ნაკადების კლებით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის გამოყენების ღირებულებას დაეფუძნა, რომელიც განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის უწყვეტად სარგებლობით წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება 223,695 ათასი ლარის ოდენობით უფრო მაღალი ოდენობით განისაზღვრა, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც 218,658 ათას ლარს შეადგენდა. შესაბამისი გაუფასურების ზარალი 5,038 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა 2019 წლის გაუფასურების ზარალში, რომელიც ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე პროპორციულად გადანაწილდა.

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოიყენება შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები 26 წლის ვადით არის დაგეგმილი. ხელმძღვანელობის აზრით, 26 წლის გამოყენება გამართლებულია, რადგან ეს პერიოდი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილ საშუალო შეწონილ სასარგებლო მომსახურების ვადას, რომელიც ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში ინვესტირების ანაზღაურებას და ინვესტორების მოთხოვნილი უკუგების კოეფიციენტს ასახავს, როგორც განმარტებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დამტკიცებული ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

- დატვირთვის ფაქტორი 400 კვ-იანი ელექტროენერგიის გადამცემი ხაზისთვის საპროგნოზო პერიოდისთვის 17.53%-ით განისაზღვრა. დატვირთვის ფაქტორი დაანგარიშდა წმინდა საპროგნოზო ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლით, რომელიც გადამცემი ხაზის პოტენციურ სიმძლავრეზე იყოფა.
- ფულადი ნაკადები შემოსავლის ორი მთავარი წყაროდან არის მოსალოდნელი: ელექტროენერგიის გადაცემა და ექსპორტი;
- შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემისა და ექსპორტიდან იგეგმება ფაქტიური საოპერაციო შედეგების და კომპანიის ხუთწლიანი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, რომელიც შემუშავდება საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის შესაბამისად, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული;
- ბიუჯეტში განსაზღვრული თანხების მნიშვნელოვანი კლების და გარე ბაზრების ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამო, შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან ნულის ტოლი ოდენობით შეფასდა.
- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაში გამოიყენება გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთი 14.04%-ის ოდენობით (2018: 13.6%). დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მინიმალურ მოთხოვნილ უკუგების კოეფიციენტს კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე (ლარში გამოხატული).

ზემოაღნიშნული შეფასებები ძირითადად მგრძნობიარეა დისკონტირების განაკვეთში ცვლილების მიმართ. 1%-იანი ზრდა დისკონტირების განაკვეთში გამოიწვევს გაუფასურების ზარალის დაახლოებით 9,072 ათასი ლარით ზრდას.

(d) უზრუნველყოფა

2019 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებების ერთეულები (მიწის ნაკვეთები ელექტროენერგიის გადამცემი ხაზებით და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა) საბალანსო ღირებულებით 48,090 ათასი ლარი (2018: 55,980 ათასი ლარი) დაგირავებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სესხების და კრედიტების და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ შენიშვნები 18 და 19).

2019 წლის 31 დეკემბრისთვის 74,274 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ქონება (2018: 76,717 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 18).

2019 წლის 31 დეკემბერს, ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები და სხვა ერთეულები) საბალანსო ღირებულებით 128,059 ათასი ლარი (2018: ნული) დაგირავებულია ადგილობრივი ქართული ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ შენიშვნა 18).

(e) საინვესტიციო ქონება

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	75,529	11,863
ძირითადი საშუალებების რეკლასიფიკაცია	59,335	63,666
ნაშთი 31 დეკემბერს	**134,864**	**75,529**

2019 წლის 31 დეკემბერს ფონდის მიწები აკმაყოფილებდა საინვესტიციო ქონების აღიარების კრიტერიუმებს და ჯგუფმა მოახდინა ამ მიწის ნაკვეთების საბალანსო ღირებულების სრული რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაში, რამაც 59,335 ათასი ლარი შეადგინა. ამ საინვესტიციო ქონების ფარგლებში ძირითადი ერთეულებია: მიწის ნაკვეთები ქობულეთში (18,711 ათასი ლარი), რომლებიც მიიღება ჯგუფის მიერ 2018 წელს სს „ბორჯომი ლიკანი ინთერნეიშენალის “ბიზნესის შეძენის შედეგად და ბორჯომში მიწის ნაკვეთების (26,255 ათასი ლარი), რომლებიც ფონდის მიერ სს „ბორჯომი ლიკანის ინთერნეიშენალში“ ინვესტიციებიდან იქნა გატანილი 2019 წლის განმავლობაში. ხსენებული მიწის ნაკვეთები ბასს 40-ის საფუძველზე საინვესტიციო ქონების აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, ფონდის მიერ განუსაზღვრელი მომავალი გამოყენების გამო, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	2019	2018
სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებზე გადახდილი ავანსები*	60,768	60,630
კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (CCPP) გარდაბანი II სამშენებლო სამუშაოებზე გადახდილი ავანსები**	91,563	57,635
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი სხვა ავანსები	6,257	44,484
სულ გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	**158,588**	**162,749**
სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამშენებლო მასალები	23,240	26,463
არამატერიალური აქტივები	30,200	34,192
სხვა	10,532	21,000
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	**63,972**	**81,655**

*სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებში გადახდილი ავანსები შემოვლითი გზის პროექტს უკავშირდება, რომელიც 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შეჩერებული. ხელმძღვანელობის შეფასებით, ავანსები სრულად ანაზღაურებადია უცხოური ბანკიდან მიღებული შესრულების გარანტიის საფუძველზე.

**2016 წლის 28 სექტემბერს შპს „გარდაბნის თბოსადგურს 2“ და კომპანიას „China Tianchen Engineering Corporation“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II დაპროექტების, ნასყიდობის და მშენებლობის შესახებ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ „China Tianchen Engineering Corporation“ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელა საავანსო გადახდა 89,953 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლის 31 დეკემბერი: 57,328 ათასი ლარი). 2019 წლის დეკემბერში დასრულდა კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II-ის მშენებლობა. „გარდაბანი II“-ზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ („სემეკი“) ელექტროენერგიის გამომუშავების ლიცენზია 2020 წლის 25 მარტს გასცა.

11. ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	112,726	70,498
შენატანები მეკავშირე საწარმოებში	11,106	65,938
ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებზე (მოგების გადასახადის გამოკლებით) აღიარებული მოგებაში ან ზარალში	(2,154)	(500)
მეკავშირე საწარმოებში/ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში ინვესტიციების გატანა	(5,048)	(23,210)
გაუფასურების ზარალი	(2,546)	-
ნაშთი 31 დეკემბერს	**114,084**	**112,726**

ჯგუფის არცერთი მეკავშირე საწარმო, რომელშიც მას ინვესტიცია აქვს განხორციელებული, არ არის ბირჟაზე რეგისტრირებული პირი და შესაბამისად ფასთა კოტირება გამოცემული არ არის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ინფორმაცია 2019 წელს მეკავშირე საწარმოებში ჯგუფის ინვესტიციებში მოძრაობის შესახებ. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, რომლებიც მოცემულია შენიშვნაში 1(c) და არ არის განხილული ცხრილში, წარმოადგენს უმოქმედო საწარმოებს, რომლებიც არ ახორციელებენ რაიმე სახის ბიზნეს საქმიანობას და არ ახდენენ შემოსავლის გენერირებას.

მეკავშირე კომპანია	წილობრივი მონაწილეობა 2019	წილობრივი მონაწილეობა 2018	ბიზნეს საქმიანობა	'000 ლარი ნაშთი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	'000 ლარი შენატანი	'000 ლარი ფონდთან დაკავშირებული მოგება (ზარალი)	'000 ლარი გატანა	'000 ლარი გაუფასურება	'000 ლარი ნაშთი 31.12.2019 წლის მდგომარეობით
სს „თელასი“	24.53%	24.53%	ელექტროენერგიის ყიდვა და განაწილება სამეწარმეო და რეზიდენტ მომხმარებლებზე თბილისში სვანეთში (საქართველო)	44,326	-	3,504	-	-	47,830
სს „ნენსკრა ჰიდრო“	8.07%	6.99%	ჰიდროელექტრო სადგურის განვითარება, მშენებლობა და ფუნქციონირება	29,992	8,250	(640)	-	-	37,602
შპს "წინანდალი ისთეითსი"	33.43%	45.51%	სასტუმრო და სპა-კურორტი სოფელ წინანდალში	20,877	151	(4,461)	-	-	16,567
სს „Panex“	48.17%	48.17%	სამშენებლო მასალების მრეწველობა	4,323	-	1,313	(5,048)	-	588
შპს „Vanric Agro“	40.48%	40.48%	ხილის ექსპორტი	3,265	-	(719)	-	(2,546)	-
შპს „იმერეთი გრინერი“	37.65%	37.65%	სოფლის მეურნეობა/საფერმერო საქმე	824	-	(824)	-	-	-
Gazelle Fund LP	29.11%	29.11%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისით	5,000	2,185	172	-	-	7,357
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“	8%	8%	საინვესტიციო ფონდი	3,567	520	(363)	-	-	3,724
შპს „Caucasian SUS Heritage“	49.9%	49.9%	ღორების ფერმა	552	-	(136)	-	-	416
				112,726	**11,106**	**(2,154)**	**(5,048)**	**(2,546)**	**114,084**

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჯგუფი სს „ნენსკრა ჰიდროში“ („საწარმო“) ხმის უფლების 20 პროცენტზე ნაკლებს ფლობს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწარმოს მმართველი უწყების (საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრისგან, რომელთაგან ოთხს ასახელებს K-water, ხოლო ორს - ჯგუფი) მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის გამო, ჯგუფს ჰქონდა საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება და შესაბამისად, შესწევდა უნარი საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენით ესარგებლა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(a) მეკავშირე კომპანიები

2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფი წილს ფლობდა ათ მეკავშირე საწარმოში - შპს „Vanric Agro“, სს „თელასი“, სს „Panex“, სს „იმერეთი გრინერი“, შპს „წინანდალი ისთეითსი“, „Gazelle Fund LP“, შპს „Caucasian SUS Heritage“, შპს „Gino Green City Corporation“, სს „ნენსკრა ჰიდრო“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasian Clean Energy I“ (2018: შპს „Vanric Agro“, სს „თელასი“, სს „Panex“, სს „იმერეთი გრინერი“, შპს „წინანდალი ისთეითსი“, „Gazelle Fund LP“, შპს „Ytong Caucasus“, შპს „Caucasian SUS Heritage“, შპს „Gino Green City Corporation“, სს „ნენსკრა ჰიდრო“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“).

სს „თელასი“ ჯგუფის მნიშვნელოვან მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს. სს „თელასის“ აქციების 24.53% ჯგუფს გადაეცა 2012 წლის 30 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ კაპიტალში შენატანის სახით. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 27,548 ათასი ლარის ოდენობით აღიარებულია სს „თელასის“ წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის სახით, გადაცემის თარიღისთვის. სს „თელასი“ ჩართულია ელექტროენერგიის ყიდვასა და თბილისში სამეწარმეო და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე მის განაწილებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს სს „თელასის“ ფინანსურ ინფორმაციას მისი საკუთარი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. ცხრილში ასევე შედარებულია შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია და სს „თელასში“ ჯგუფის წილის საბალანსო ღირებულება.

'000 ლარი	2019	2018
წილობრივი მონაწილეობა პროცენტებში	**24.53%**	**24.53%**
გრძელვადიანი აქტივები	291,423	265,407
მიმდინარე აქტივები	71,548	75,279
გრძელვადიანი ვალდებულებები	(26,435)	(41,121)
მიმდინარე ვალდებულებები	(141,613)	(118,928)
წმინდა აქტივები (100%)	194,923	180,637
ფონდის წმინდა აქტივების წილი (24,53%)	**47,815**	**44,310**
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	453,084	461,969
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი (100%)	14,286	27,254
ფონდის წილი მოგებაში და მთლიან სრულ შემოსავალში	**3,504**	**6,685**

12. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1996 წელს, საქართველოს მთავრობამ გააფორმა 30-წლიანი გარიგება ნავთობკომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობა და განვითარება, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ სუფსის ნავთობ ტერმინალამდე. გარიგებით ნავთობკომპანიებს მიენიჭათ ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების უფლება, მილსადენი სისტემით, რომელიც საქართველოს მთავრობის საკუთრება გახდა. ამ მილსადენის საკუთრების უფლება ჯგუფს გადეცა 2010 წლის ივნის-ივლისში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, ნომინალური ღირებულებით 269,299 ათასი ლარი. ნავთობკომპანიების მიერ მილსადენით სარგებლობის სანაცვლოდ, ჯგუფი იღებს ტრანსპორტირებული თითოეული ბარელი ნავთობის ტრანზიტის საფასურს. ხელმძღვანელობას არ განუსაზღვრავს, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას იჯარის ვადის დასაწყისში, რადგან საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და ანაზღაურებას.

ჯგუფმა აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით, ჯგუფისთვის მილსადენებზე საკუთრების უფლების გადაცემის თარიღში. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს იჯარაში წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მოიცავს იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივების არა-გარანტირებული ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასლარიანი სხვაობა იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდა კაპიტალში, მესაკუთრის არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულების ცვლილების სახით.

'000 ლარი	2019	2018
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 1 იანვარს	67,854	62,873
დისკონტირების ამორტიზაცია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე	5,280	4,981
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 31 დეკემბერს	**73,134**	**67,854**

ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაშია აღიარებული 2019 წლის განმავლობაში, 21,168 ათასი ლარს (2018: 18,367 ათასი ლარი) შეადგენს.

13. სასესხო მოთხოვნები

'000 ლარი	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები		
სასესხო მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოს მიმართ	604	-
სასესხო მოთხოვნა მესამე მხარის მიმართ	1,959	2,580
სულ გრძელვადიანი	**2,563**	**2,580**
მიმდინარე აქტივები		
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოს მიმართ სასესხო მოთხოვნის მოკლევადიანი წილი	122	-
მესამე მხარის მიმართ სასესხო მოთხოვნის მოკლევადიანი წილი	1,823	258
სულ მიმდინარე	**1,945**	**258**
	4,508	**2,838**

14. ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

'000 ლარი	2019	2018
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები*	73,044	56,396
მოთხოვნა მთავრობის მიმართ**	25,205	25,205
გაუფასურების რეზერვი მოთხოვნაზე მთავრობის მიმართ**	(25,205)	(25,205)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,910	3,717
სხვა მოთხოვნები	5,086	5,309
სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(2,138)	(2,178)
	81,902	**63,244**

*მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები უმეტესად განხორციელდა შპს „South Caucasus Pipeline Option Gas Company“-ს მიმართ 42,933 ათასი ლარის ოდენობით (2018: 33,860 ათასი ლარი) და შპს „Azerbaijan Gas Supply Company“-ის (AGSC) მიმართ 13,332 ათასი ლარის ოდენობით (2018: 12,026 ათასი ლარი) გაზის მიწოდებისთვის.

**მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიმართ (შემდგომში „მთავრობა“) აღიარდა საქართველოს მთავრობისთვის ქონების გადაცემის შედეგად, რადგან შემოვლითი გზის პროექტის ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად მთავრობა ჯგუფს აუნაზღაურებს ამგვარ გადაცემებზე გაწეულ დამატებითი ღირებულების გადასახადის ვალდებულებას.

საქართველოს მთავრობასთან განხორციელებული განხილვების საფუძველზე და კონკრეტული გაურკვევლობების შედეგად, რომლებიც უკავშირდებოდა ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს, ჯგუფმა მთავრობის მიმართ მოთხოვნაზე გაუფასურების ზარალი აღიარა, რომელიც ფინანსურ ხარჯში იყო აღიარებული 2017 წლის განმავლობაში.

15. სავაჭრო მოთხოვნები

'000 ლარი	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურიზებული მოთხოვნები *	15,718	18,959
	15,718	**18,959**
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები**	597,203	423,742
რესტრუქტურიზებული მოთხოვნები *	4,296	4,510
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(215,559)	(174,993)
	385,940	**253,259**
სულ	**401,658**	**272,218**

*2017 წლის 16 ნოემბერს ჯგუფმა და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ (სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმო) გააფორმეს ხელშეკრულება მთავარი გაზსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურიზაციის შესახებ. კონტრაგენტები შეთანხმდნენ გადახდის გრაფიკზე, რომლის საფუძველზეც მთლიანი თანხა გადაიხდება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურიზაციამ გამოიწვია პირობების არსებითი ცვლილება, შესაბამისად, რესტრუქტურიზაციის თარიღში ჯგუფმა შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი, ახალი პირობების შესაბამისად. ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას 2017 წელს დაანგარიშდა წელიწადში 10.86%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. ეს პროცენტი საბაზრო განაკვეთად იყო მიჩნეული. 2019 წელს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ განახორციელა 4,990 ათასი ლარის ოდენობით გადახდა ზემოთ ხსენებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

**სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მოთხოვნას უცხოური კომპანიის მიმართ (იხილეთ შენიშვნა 6), 40,115 ათასი ლარის და 37,441 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად). 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღის მდგომარეობით, ზემოთ მითითებული მოთხოვნა სრულად ვადაგადაცილებული იყო. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნის ანარიცხი 40,115 ათას ლარს შეადგენს (2018: 18,373 ათასი ლარი).

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების ზარალზე აღწერილია შენიშვნაში 22.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2019	2018
ნაშთები ბანკში	296,142	511,645
მოთხოვნამდე ანაბრები	218,796	268,386
სალაროს ნაშთი	82	119
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**515,020**	**780,150**

მოთხოვნამდე დეპოზიტი წარმოადგენს ვადიან დეპოზიტს ბანკებში სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით წარმოქმნის თარიღიდან, რომელზეც ჯგუფს აქვს დეპოზიტის განაღდების ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრების ან საპროცენტო შემოსავლის დაკარგვის გარეშე. შესაბამისად ეს ვადიანი ანაბრები კლასიფიცირებულ იქნა მოთხოვნამდე ანაბრების მსგავსად.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია შენიშვნაში 22.

17. კაპიტალი და ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ

(a) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე ფონდის კრებებზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს მთავრობის ბრძანებით, 2012 წლის 8 მაისს ფონდის სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 100.000.000 ჩვეულებრივი აქციით ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

(b) მესაკუთრეთა შენატანები

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ განახორციელა 8,339 ათასი ლარის მიწის ნაკვეთების, 1,854 ათასი ლარის გაზის მილსადენის და 494 ათასი ლარის მოძრავი ქონების შენატანი და იკისრა 762 ათასი ლარის ვალდებულება 2020 წელს განხორციელებული კაპიტალური შენატანებისთვის (2018: საქართველოს მთავრობამ განახორციელა 69,301 ათასი ლარის მიწის ნაკვეთების (რომლიდანაც 63,695 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები თავდაპირველად კლასიფიცირებული იყო საინვესტიციო ქონების სახით, ფონდის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, და მოგვიანებით ინვესტირებულ იყო შპს „Partnership Fund Green Development“-ში), 1,900 ათასი ლარის ფულადი სახსრების და 263 ათასი ლარის მოძრავი ქონების შენატანი) ჯგუფის კაპიტალის ზრდის სახით, „მესაკუთრის შენატანების“ ქვეშ.

2019 წლის 13 სექტემბერს შპს „ენერგოტრანსს“ და აქციონერის უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის შეთანხმდა სესხის დაფარვის ახალი გრაფიკი, რომლის თანახმად სესხის დაფარვის ვადა 2029 წლამდე გახანგრძლივდა. თავდაპირველი დაფარვის ვადა იყო 2020 წლის 30 დეკემბერი. სხვაობა (11,680 ათასი ლარი) შეცვლილ წმინდა მიმდინარე ღირებულებასა და თავდაპირველ ფულადი ნაკადების გადინებებს შორის აღირიცხება როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი (შენიშვნა 18).

(c) ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ

ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ წარმოადგენს ვალდებულებას ძირითადი საშუალებების სახით, რომელიც ამოღებულია საწესდებო კაპიტალიდან, მაგრამ ფორმალურად ჯერ არ არის გადაცემული მთავრობაზე. ეს ვალდებულებები აღიარდება მესაკუთრეებისთვის გადასაცემი აქტივების საბალანსო ღირებულებით.

(d) მთავრობისგან მიღებული ავანსი

2012 წლის აპრილში, სს „საქართველოს რკინიგზამ“ და საქართველოს მთავრობამ გააფორმეს შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმი. შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმის თანახმად, მთავრობა დაინტერესებულია და მისი მიზანია ჯგუფისგან შეიძინოს დაახლოებით 701,281 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, რომელიც გამოთავისუფლდებოდა რკინიგზის ინფრასტრუქტურის თბილისის ცენტრიდან გადატანის და ახალი შემოვლითი სარკინიგზო მარშრუტის მშენებლობის შედეგად, მიწის ნაკვეთების შემდგომი განვითარების მიზნით. სახელმწიფო დათანხმდა სს „საქართველოს რკინიგზას“ გადაუხადოს 138 მილიონი შვეიცარული ფრანკის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, სახელმწიფოს მიერ ჯგუფიდან მისაღები დივიდენდების შემცირების გზით.

2012 წელს სს „საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა 231,592 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (138 მილიონი შვეიცარიული ფრანკი). შემდგომში, სს „საქართველოს რკინიგზა“ შეთანხმდა მთავრობასთან, რომ გამოცხადებული დივიდენდის თანხა წარმოადგენს მთავრობის მხრიდან გადასახდელ თანხას, მიწის ნაკვეთების მომავალ გაყიდვაზე, შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმების შესაბამისად. შედეგად, გადასახდელი დივიდენდები კლასიფიცირებულ იქნა, როგორც მიწის გაყიდვის მიზნით სახელმწიფოსგან მიღებული ავანსის თანხა. იმ თარიღის მდგომარეობით, როდესაც ნებადართულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, სახელმწიფოს გადაწყვეტილება არ მიუღია ამ ავანსების შესახებ და მისი მხრიდან არ ყოფილა რაიმე მითითება ამ თანხების მოთხოვნამდე დაფარვის შესახებ. ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთების მთავრობისთვის გადაცემა 2018 ან 2019 წლებში არ მომხდარა.

18. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები დაწვრილებით აღწერილია შენიშვნაში 22.

'000 ლარი	2019	2018
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	2,137,717	1,994,799
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	944,164	460,278
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	133,166	21,132
დაკავშირებული მხარისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	18,640	-
დაკავშირებული მხარისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	10,600	-
	3,244,287	**2,476,209**
მიმდინარე ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების მიმდინარე წილი	68,970	62,086
ფინანსური ინსტიტუტებისგან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე წილი	189,627	755,887
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე წილი	28,446	105,176
დაკავშირებული მხარისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	1,974	-
ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	10,056	30,640
	299,073	**953,789**

(a) ვადები და ვალის დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხებისა და კრედიტების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

				2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები							
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები-გრძელვადიანი	აშშ დოლარი	6.75%	2021	716,925	722,024	669,150	671,620
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები-გრძელვადიანი	აშშ დოლარი	7.75%	2022	1,484,663	1,484,663	1,385,265	1,385,265
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი	ევრო	გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის საცნობარო განაკვეთი +4%	2027	253,047	253,047	247,322	247,322
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ევროპის საინვესტიციო ბანკი	ევრო	Euribor+0.75%	2033	203,514	203,514	198,907	198,907
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი	ევრო	1%-1.5%	2025-2037	43,974	43,974	45,879	45,879
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი	ევრო	Euribor+1%	2025-2028	162,850	162,850	164,494	164,494
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - აზიის განვითარების ბანკი	აშშ დოლარი	1%-1.5%	2044	124,929	124,929	116,604	116,604
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი	ევრო	2.2%	2025	73,937	73,937	73,869	73,869
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი	აშშ დოლარი	მსოფლიო ბაკის საცნობარო განაკვეთს დამატებული ცვლადი განაკვეთი	2038	139,711	139,711	125,367	125,367
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - რეკონსტრუქციის და	ევრო	ცვლადი საპროცენტო განაკვეთი	2044	496	496	-	-

				2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
'000 ლარი	**ვალუტა**	**ნომინალური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის წელი**	**ნომინალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**ნომინალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**
განვითარების საერთაშორისო ბანკი							
ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხი - (გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი ახალი)	ევრო	0.25-0.05%	2032	4,318	4,318	4,130	4,130
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	აშშ დოლარი	ლიბორი +5.95%	2020	127,015	127,015	239,593	239,593
დაკავშირებული მხარეების არაუზრუნველყოფილი სესხები	აშშ დოლარი	ლიბორი+6%	2023	20,614	20,614	-	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - განვითარების საერთაშორისო ასოციაცია	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის წამყვანი სახაზინო განაკვეთები	2022	18,044	18,044	23,709	23,709
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი	ევრო	4%	2021	4,841	4,841	6,947	6,947
ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხი	ევრო	5.30%	2026-2034	19,452	19,452	-	-
ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხი	აშშ დოლარი	ლიბორი+6%	2019	-	-	10,058	10,058
ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხი	აშშ დოლარი	ლიბორი+6%	2027	38,308	38,308	-	-
„Credit Suisse“-სგან მიღებული სესხი	აშშ დოლარი	ლიბორი +1.25%	2026	80,968	80,968	85,594	85,594
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.50%	2029	32,335	20,655	30,640	30,640
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**3,549,941**	**3,543,360**	**3,427,528**	**3,429,998**

სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფის საგნები მე-9 შენიშვნაშია აღწერილი.

2016 წლის აპრილის თვეში ჯგუფმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე განახორციელა 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვება, განთავსება და რეგისტრაცია (ლისტინგი) და იმ ობლიგაციების ნაწილობრივი ვადაზე ადრე გამოსყიდვა, რომლებსაც ვადა 2012 წლამდე ჰქონდა.

2012 წლის ივლისში ჯგუფმა გამოუშვა, განათავსა და დაარეგისტრირა (ლისტინგი) 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთით 7.75%, რომელთა დაფარვის ვადა 2022 წლამდე იყო.

ზემოთ ხსენებული ობლიგაციების ნაწილი ჯგუფის მიერ 2010 წელს გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვისთვის იქნა გამოყენებული.

„Credit Suisse“-სგან უზრუნველყოფილი სესხის აღების ერთადერთი მიზანი სამგზავრო ვაგონების შეძენა იყო. ეს სესხი უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი სამგზავრო ვაგონებით, რომელთა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 74,274 ათასი ლარი იყო (2018 წლის 31 დეკემბერი: 76,717 ათასი ლარი) (იხილეთ შენიშვნა 9(d)).

2018 წელს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 150 მილიონი ევროს ოდენობით, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დასაფინანსებლად. სასესხო ხელშეკრულების თანახმად, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 150 მილიონ ევროს 2 ტრანშად მიიღებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტრანში არ განაღდებულა/მოხმარებულა და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გადაიხადა მართვის მომსახურების გასამრჯელო და ვალდებულების საფასური 1,350 ათასი ევროს და 27,5 ათასი ევროს ოდენობით, შესაბამისად.

2014 წლამდე ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან, ევროპის საინვესტიციო ბანკისა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან სესხები მიიღო საქართველოს მთავრობამ შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტთან დაკავშირებით. 2014 წლამდე საერთაშორისო ასოციაციისა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან მიღებული სესხები საქართველოს მთავრობას გადაეცა ელექტროენერგიის ბაზრის მხარდაჭერის პროექტის და სხვა პროექტების („Energy IV“, „განვითარების სექტორული პროგრამის ელექტროენერგიით მომარაგება“ და „რეგიონალური ელექტროენერგიის ქსელის რეაბილიტაცია I“) განხორციელების მიზნით. 2014 წელს აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხები გადაეცა საქართველოს მთავრობას ჯვარი-ხორგის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობასა და გამაგრებასთან, ასევე სხვა გადამცემი ქსელის რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობამ, თავის მხრივ, ამ სესხების ფარგლებში მიღებული თანხები მათი დაფარვის ვალდებულებებითურთ გადასცა ჯგუფს. კრედიტორს იურიდიულად არ გაუთავისუფლებია საქართველოს მთავრობა სესხების დაფარვის პირველადი ვალდებულებისგან, შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ამ გარიგებაში გამოვიდა, როგორც პრინციპალი და ჯგუფს სასესხო ვალდებულება გადასახდელი აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის. უზრუნველყოფილი სესხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ, არაუზრუნველყოფილი სესხების ნაწილზე დარიცხულ პროცენტს რომელსაც ჯგუფის სახელით იხდის საქართველოს მთავრობა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნდა გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 146,708 ათასი ლარის და 465,387 ათასი ლარის და 45,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2018 წლის 31 დეკემბერს: 239,220 ათასი ლარი). 2015 წლის განმავლობაში ჯგუფმა ახალი სესხი მიიღო საერთაშორისო ბანკისგან 150,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხების მიზანი იყო არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირება.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ ხსენებული საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება განსხვავდება თავდაპირველი აღიარებისას სესხად აღებული თანხებისგან, რადგან ეს სესხები ცალკე ბაზრის სეგმენტზეა გაცემული, რომელიც განსხვავდება კომერციული საკრედიტო ბაზრისგან. ხელმძღვანელობის შეფასებით, ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხის და „Credit Suisse“-სგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხის საბალანსო ღირებულება გონივრულ ფარგლებში მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება.

ფინანსური კოვენანტების დარღვევა

2018 წლის განმავლობაში, ფულადი სახსრების დანაკლისის გამო, KfW-ს სესხის ფარგლებში დასაფარი სახელშეკრულებო ოდენობები დაფარვის ვადით 2027 წლამდე, გაფორმებული შპს „ენერგოტრანსსა“ და საქართველოს მთავრობას შორის, არ ყოფილა გადახდილი დროულად. 2018 წელს შპს „ენერგოტრანსმა“ ვერ განახორციელა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შესახებ, შესაბამისად საქართველოს მთავრობისგან 2018 წელს განსახორციელებელი გადახდების გადავადებაზე ფორმალური თანხმობა არ ყოფილა მოპოვებული. სახელშეკრულებო პირობების დარღვევა წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევას სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც საქართველოს მთავრობას აძლევს უპირობო უფლებას მოითხოვოს, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული 385,287 ათასი ლარის ოდენობით სესხებისა და კრედიტების დაუყოვნებელი დაფარვა. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სესხები იქნა რეკლასიფიცირებული როგორც მიმდინარე ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შპს „ენერგოტრანსის“ დონეზე ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან მიღებულ სესხებთან მიმართებაში, სასესხო და დაკავშირებული პროექტის განხორციელების ხელშეკრულებების შესაბამისად, შპს „ენერგოტრანსმა“ სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა შეინარჩუნოს მინიმუმ 1.1-ის დონეზე.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს „ენერგოტრანსმა“ დაარღვია EBRD-სთვის და KfW-სთვის დადებული „შვილობილი კომპანიის სასესხო ხელშეკრულებებში“ დადგენილი ფინანსური კოვენანტი (სესხის მომსახურების კოეფიციენტი).

ხელმძღვანელობამ ევროპის საინვესტიციო ბანკისგან მოიპოვა მუდმივი უფლებაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი აღნიშნული კოვენანტის დარღვევასთან დაკავშირებით, და გააუქმა ფინანსური კოვენანტის პირობა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლამდე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისთვის, შესაბამისი უარი მიღებულ იქნა 2019 წლის დეკემბერში.

ხელმძღვანელობა ანგარიშობს ზემოთ ხსენებულ ფინანსურ კოვენანტს თითოეული წლის ბოლოს, შპს „ენერგოტრანსის“ განცალკევებული ფინანსური ინფორმაციის და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომლებიც ფასს სტანდარტების შესაბამისად არის მომზადებული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ არღვევდა ფინანსურ კოვენანტს, რადგან მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობის კოეფიციენტი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ერთზე ნაკლები იყო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 125,367 ათასი ლარის ოდენობით სესხი მიმდინარედ არის კლასიფიცირებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„Credit Suisse“-სგან მიღებულ არაუზრუნველყოფილ სესხთან დაკავშირებით, საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, ფონდს სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა შეენარჩუნებინა 1.2-ზე მაღალ მაჩვენებელზე, ხოლო მთლიანი წმინდა ვალის დივიდენდებთან თანაფარდობის „ლევერეჯ“ კოეფიციენტი - 3.5-ზე ნაკლები.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის მომსახურების კოეფიციენტთან დაკავშირებული ფინანსური კოვენანტი „Credit Suisse“-ის ზემოთ მითითებულ სესხზე დარღვეული იყო. შედეგად, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს სესხის დაფარვა, ხოლო ჯგუფმა სესხი დააკლასიფიცირა მოკლევადიანი სესხის სახით. თუმცა, ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღში, „Credit Suisse“-ს არ მოუთხოვია ზემოთ ხსენებული თანხის დაფარვა. 2020 წელს ჯგუფმა ისარგებლა ძირითადი თანხის დაფარვის გახანგრძლივების ფუნქციით 2021 წლის სექტემბრამდე და ხელშეკრულების ახალი დანართი „Credit Suisse“-თან აღარ მოიცავს ფინანსური კოვენანტის მუხლს (იხილეთ შენიშვნები 2(ხ) და 28).

სახელშეკრულებო პირობების ცვლილება

2019 წლის 13 სექტემბერს შპს „ენერგოტრანსს“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული დანართის თანახმად, 2020 წელს ვადადამდგარი ძირითადი თანხები 2027, 2028 და 2029 წლებამდე გადავადდა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან (შესაბამისად) მიმართებით. დანართის გაფორმების შედეგად, დაფარვის თარიღები გახანგრძლივდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებულ სესხებზე.

აქციონერის უფლებამოსილების შემსრულებლის სახით მოქმედ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან სესხის დაფარვის ვადის 2029 წლამდე გახანგრძლივებამ გამოიწვია სახელშეკრულებო პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, რის შედეგადაც ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა, რომელიც დაანგარიშდება ფინანსური ინსტრუმენტის საწყის და ახალ ფულად ნაკადებს შორის, აღიარდება დამატებით გადახდილი კაპიტალის სახით 11,475 ათასი ლარის ოდენობით. (შენიშვნა 17(ხ))

2019 წლის 13 სექტემბერს, შპს „ენერგოტრანსმა“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეათანხმა 2019 წელს ვადადამდგარი ძირითადი თანხის დაფარვა 2020 წლის ბოლომდე; საქართველოს მთავრობასთან სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი არ აქვს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაგვიანებით გადახდაზე დააკისრა 8,337 ათასი ლარის (2018: 4,961 ათასი ლარი) ოდენობით ჯარიმა.

(b) აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	3,429,998	53,874	3,483,872
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	91,803	-	91,803
ნასესხები სახსრების დაფარვა	(194,025)	-	(194,025)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა	-	(17,000)	(17,000)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**(102,222)**	**(17,000)**	**(119,222)**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული გავლენა	214,107	681	214,788
საპროცენტო ხარჯი	112,837	-	112,837
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებად კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი (იხილეთ შენიშვნა 9(a))	113,505	-	113,505
დისკონტირების ამორტიზაცია	-	4,825	4,825
გადახდილი პროცენტი	(213,185)	-	(213,185)
ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ფინანსურ ვალდებულებებზე (იხილეთ შენიშვნა 17(b)).	(11,680)	-	(11,680)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**215,584**	**5,506**	**221,090**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**3,543,360**	**42,380**	**3,585,740**

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	3,553,062	62,875	3,615,937
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	42,256	-	42,256
ნასესხები სახსრების დაფარვა	(246,192)	-	(246,192)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებებს დაფარვა	-	(15,000)	(15,000)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**(203,936)**	**(15,000)**	**(218,936)**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული გავლენა	70,859	200	71,059
საპროცენტო ხარჯი	141,859	-	141,859
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებად კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი (იხილეთ შენიშვნა 9(a))	69,685	-	69,685
დისკონტირების ამორტიზაცია	-	5,799	5,799
გადახდილი პროცენტი	(198,890)	-	(198,890)
სხვა	(2,641)	-	(2,641)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**80,872**	**5,999**	**86,871**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**3,429,998**	**53,874**	**3,483,872**

19. რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

'000 ლარი	2019	2018
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	19,207	35,029
სავაჭრო ვალდებულებები	29,538	28,936
სესხები და დარიცხული პროცენტი	1,473	2,572
	50,218	**66,537**
ამორტიზირებული ღირებულების ცვლილებები	(7,838)	(12,663)
ნაშთი 31 დეკემბერს	**42,380**	**53,874**
მიმდინარე	19,267	17,000
გრძელვადიანი	23,113	36,874
	42,380	**53,874**

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოადგენს 2006 წლამდე წარმოშობილ თანხებს, რომელთა დაფარვა გადავადდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ფინანსური სირთულეების გამო. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილ იქნა თავდაპირველად 2006 წელს სამართალწარმოებიდან და შეთანხმდა კრედიტორთა უმრავლესობასთან, აღნიშნული სესხების ანგარიშსწორება გადავადებულ იქნა 2011 წლამდე, შესაბამისად თანხების ანგარიშსწორება მოხდება ნაწილ-ნაწილ 2023 წლამდე, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებამდე.

სარეაბილიტაციო გეგმაში განსაზღვრულია ჯგუფში შემავალი საწარმოს სტრატეგიული მიზნები მომდევნო 15 წლის განმავლობაში, ასევე ჯგუფში შემავალი საწარმოების ძირითადი საოპერაციო და ფინანსური მიზნები. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, დაინიშნა მენეჯერი რეაბილიტაციის საკითხებში მთლიანი სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველობის განსახორციელებლად. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მთავარი კრედიტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ფინანსთა სამინისტროსთვის გადასახდელი თანხები მოიცავს გადასახადებს და მოსაკრებლებს, ასევე სესხებს და დარიცხულ საპროცენტო განაკვეთებს. რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული თანხებით. 2008 წელს ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გადახდის ვადების ცვლილების მიზნით. სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების თარიღისთვის, ამ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მომავალი ფულადი ნაკადების საშუალო საბაზრო 9.57%-იანი განაკვეთით დისკონტირებით.

20. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	110,545	112,728
მოგებაში და ზარალში აღიარებული	(4,988)	(4,971)
წლის განმავლობაში მიღებული	14	2,788
ნაშთი 31 დეკემბერს	**105,571**	**110,545**
გრძელვადიანი	102,736	105,579
მიმდინარე	2,835	4,966
	105,571	**110,545**

2019 წელს გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან მიღებულ იქნა გრანტის ახალი ტრანში.

2018 წელს გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა გამოყო გრანტი 500/220 კვ ჯვრის ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. გრანტის თანხა 1,476 ათასი ლარი იყო. ამასთან 2018 წელს გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატარებლად დამატებით მიღებულ იქნა 1,312 ათასი ლარი.

ეს ფინანსური შენატანი არ ექვემდებარება დაფარვას, სანამ ადგილი არ ექნება ჯგუფის მიერ მიღებული თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას ან პროექტის განხორციელებისთვის საფრთხის შექმნას.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	142,071	94,366
ვალდებულება გრძელვადიანი აქტივებისთვის	127,772	193,677
შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ვალდებულებები	30,039	32,365
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	19,657	14,699
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,544	1,369
სხვა ვალდებულებები	44,653	46,286
	365,736	**382,762**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები აღწერილია შენიშვნაში 22.

22. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებათა გადაცემაში.

ჯგუფმა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების მეთოდის მიზანია განსაზღვროს სამართლიანი ღირებულება, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვის შედეგად მიღებულ ან ვალდებულების გადაცემის შედეგად გადახდილ თანხას ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი, რომელიც ჯგუფმა გამოიყენა, არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოთვლილია ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებასთან.

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების სამართლიანი ღირებულების ხელმძღვანელობისეულმა შეფასებამ მოგვცა ღირებულებების დიაპაზონი, რომელიც დაახლოებით საბალანსო ღირებულებას უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე არის განთავსებული, ბაზარი არ არის მიჩნეული აქტიურად რადგან მისი მონაწილეები ძირითადად ინსტიტუციონალური ინვესტორები არიან და ბრუნვა ბაზარზე არ არის მაღალი.

სავარაუდო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული საპროცენტო განაკვეთები, შესაბამის შემთხვევაში ეფუძნება საანგარიშგებო თარიღისთვის სახელმწიფო ამონაგების მრუდს, შესაბამისი საკრედიტო სპრედის დამატებით.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(c));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(d));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(e)).

რისკების მართვის სტრუქტურა

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, და რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით. მრავალმხრივი სასწავლო და მმართველობითი სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ჯგუფი მიზნად ისახავს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ჯგუფის და მისი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებს აქვთ პასუხისმგებლობა განსაზღვრონ და განიხილონ ჯგუფის საწარმოების რისკების მართვის სტრუქტურა. სამეთვალყურეო საბჭოები ამოწმებენ თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის საწარმოების მიერ რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვას და მიმოიხილავს, ასევე რისკების მართვის სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფას, ჯგუფის საწარმოების წინაშე მდგომ რისკებთან მიმართებაში.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება მომხმარებლის მოთხოვნებთან, საკრედიტო მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(i) საკრედიტო რისკზე დამოკიდებულება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება უკავშირდება შემდეგს:

	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი		2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	21	401,658	272,218
სხვა მოთხოვნები	14	2,948	3,131
სასესხო მოთხოვნა	13	4,508	2,838
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	514,938	780,031
		924,052	**1,058,218**

(ii) სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ჯგუფის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ მრეწველობის და ქვეყნის დეფოლტის რისკი, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, კერძოდ კი მიმდინარე გართულებულ ეკონომიკურ ვითარებაში.

საბალანსო ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციის, ბუნებრივი აირის გაყიდვის, სარკინიგზო ტრანსპორტირებისა და ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების საქმიანობიდან მიღებული ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 31%, 54%, 11% და 45% (შესაბამისად) უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან, შემოსავლის თითოეული სახეობისთვის (2018: 46%, 53%, 7% და 42%, შესაბამისად).

საკრედიტო რისკი იმართება მომხმარებლებისგან ავანსის მოთხოვნით ან მათი კრედიტუნარიანობის შეფასებით კრედიტის გახანგრძლივებამდე, ასევე მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგით და სესხის დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნით, როდესაც ნაშთი მიუახლოვდება კონკრეტულ ზღვარს, რომელიც განსაზღვრულია თითოეული კონტრაგენტისთვის. ზოგადად სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას.

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2019**	**2018**
ადგილობრივი	383,007	232,627
დსთ-ს ქვეყნები	18,651	39,591
	401,658	**272,218**

ანგარიშგების თარიღისთვის სავაჭრო მოთხოვნებისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა კლიენტების მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2019**	**2018**
ბუნებრივი აირის გამანაწილებლები	239,010	92,024
ელექტროენერგიის საბითუმო მომხმარებლები	66,568	70,341
ელექტროენერგიის გამანაწილებლები	12,519	13,505
სარკინიგზო ტრანსპორტირება	24,144	39,641
გაზის მილსადენების იჯარა	24,264	27,316
სხვა	35,153	29,391
	401,658	**272,218**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ორი კლიენტი ჰყავდა, რომელთა ნაშთები გაზის განაწილებასა და გაზის მილსადენების იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 10%-ს აღემატებოდა (2018 წლის 31 დეკემბერი: ორი კლიენტი). ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 202,339 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 91,856 ათასი ლარი) და 24,264 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 27,316 ათასი ლარი) შეადგენდა, შესაბამისად. ჯგუფის სარკინიგზო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულმა ორმა ყველაზე მნიშვნელოვანმა კლიენტმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,051 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხა (2018 წლის 31 დეკემბერი: 21,975 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

ჯგუფი კრედიტის თითოეულ ოდენობას საკრედიტო რისკის საფეხურების მიხედვით ანაწილებს, ზარალის რისკის პროგნოზირებისთვის არსებული მონაცემების (მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), გარე რეიტინგები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები, ასევე კლიენტების შესახებ მედიაში არსებული ინფორმაცია) საფუძველზე და იყენებს გამოცდილებაზე დაფუძნებულ საკრედიტო განსჯას კლიენტების ქცევასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის საფეხურები განისაზღვრება ხარისხობრივი და თვისობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც დეფოლტის რისკზე მიუთითებენ და უწყებების მიერ დადგენილ, გარე საკრედიტო რეიტინგებს არიან მორგებულნი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ 2019 წლისა და 2018 წელის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი კლიენტის საკრედიტო რისკის ხარისხი	2019 კრედიტით გაუფასურების გარეშე	2019 კრედიტით გაუფასურებული	2019 სულ
დაბალი რისკი	360,902	-	360,902
საშუალო რისკი	39,179	5,081	44,260
მაღალი რისკი	-	212,055	212,055
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**400,081**	**217,136**	**617,217**
ზარალის რეზერვი	(4,826)	(210,733)	(215,559)
	395,255	**6,403**	**401,658**

'000 ლარი კლიენტის საკრედიტო რისკის ხარისხი	2018 კრედიტით გაუფასურების გარეშე	2018 კრედიტით გაუფასურებული	2018 სულ
დაბალი რისკი	207,981	-	207,981
საშუალო რისკი	29,765	9,382	39,147
მაღალი რისკი	-	200,083	200,083
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**237,746**	**209,465**	**447,211**
ზარალის რეზერვი	(761)	(174,232)	(174,993)
	236,985	**35,233**	**272,218**

დაბალი რისკი - მსესხებელს შესწევს უნარი დააკმაყოფილოს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ვალდებულებები უახლოეს მომავალში, ასევე უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს პირობებში უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სავარაუდოდ არ შეამცირებს მსესხებლის უნარს, შეასრულოს ფულად ნაკადებთან დაკავშირებით მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. 'BBB-'-დან 'BB+'-მდე გარე საკრედიტო რეიტინგის (S&P) ეკვივალენტით.

საშუალო რისკი - მსესხებელმა მოახდინა უახლოეს მომავალში დასაკმაყოფილებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია და ეკონომიკურ და ბიზნეს პირობებში უარყოფითმა ცვლილებამ, უფრო ხანგრძლივ პერიოდში, შესაძლოა გამოიწვიოს მსესხებლის მიერ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების შესრულების უნარის შემცირება.

მაღალი რისკი - კონტრაგენტებს შესწევთ სუსტი უნარი დააკმაყოფილონ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ვალდებულებები უახლოეს მომავალში, ასევე უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს პირობებში უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაჰენტების უნარს, შეასრულონ ფულად ნაკადებთან დაკავშირებით მათი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გაუფასურების რეზერვში მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი.

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	**174,993**	**186,247**
ზრდა წლის განმავლობაში	40,814	17,080
წმინდა ჩამოწერა წლის განმავლობაში	(248)	(28,334)
ნაშთი წლის ბოლოს	**215,559**	**174,993**

გაუფასურების რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღსარიცხად, სანამ არ ამოიწურება აღდგენის ყველა შესაძლებლობა; ამ მომენტში თანხები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივზე.

(iii) სასესხო მოთხოვნა

ხელმძღვანელობის აზრით, გაცემულ სესხებთან მიმართებაში ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან სესხები არ არის ვადაგადაცილებული 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(iv) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი ანაბრები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ჯგუფს უმეტესად განთავსებული აქვს ბანკებში Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით B ან უფრო მაღალი რეიტინგებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ის ასახავს დაქვემდებარებების მოკლე დაფარვის ვადებს. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ, კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგების გათვალისწინებით.

(v) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა

ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით (იხილეთ შენიშვნა 12). შედეგად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ ატარებს საკრედიტო რისკს და არის ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების ფარგლებს გარეთ, შედგად ფინანსური იჯარის მოთხოვნასთან მიმართებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ ყოფილა აღიარებული.

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადინება. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში, მიუღებელი ზარალის გაწევის და ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ჯგუფის ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს ობლიგაციების გამოშვების ხელშეკრულებებში გათვალისწინებული კოვენანტების მონიტორინგს.

ლიკვიდურობის მოთხოვნების სამართავად, ჯგუფი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი ნაკადებისთვის, შეფასებული ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც განისაზღვრება საოპერაციო საქმიანობების ხასიათით. ამასთან ჯგუფი ფლობს გამოუყენებელ საკრედიტო ხაზს. ჩვეულებრივ, ჯგუფის საწარმოები უზრუნველყოფენ, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ 60 დღის საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს ან გლობალურ პანდემიას.

როგორც მე-18 შენიშვნაში აღვნიშნეთ, კოვენანტის დარღვევის გამო, სესხები „Credit Suisse“-სგან ჯგუფმა მიმდინარედ გადააკლასიფიცირა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის აზრით, კრედიტორების მიერ სესხების სასწრაფო წესით დაფარვის მოთხოვნის უფლების მიუხედავად, ფაქტიური მოთხოვნების ალბათობა მცირეა, რადგან ჯგუფს შესწევს უნარი გამოასწოროს დარღვეული კოვენანტები, კრედიტორებისგან უფლებაზე უარის თქმის წერილების მიღების გზით. ამასთან, 2020 წელს ჯგუფმა ისარგებლა ძირითადი თანხის დაფარვის გახანგრძლივების ფუნქციით 2021 წლის სექტემბრამდე და ხელშეკრულების ახალი დანართი „Credit Suisse“-თან აღარ მოიცავს ფინანსური კოვენანტების მუხლს.

ჯგუფს მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქვს ძირითადი საშუალებების შეძენასა და მშენებლობასთან დაკავშირებით (იხილეთ შენიშვნა 25). ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფის მიერ ფლობილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ამონაგები სესხები და კრედიტებიდან და საკრედიტო ხაზები და ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, შესაბამისი იქნება კაპიტალური დანახარჯების პროექტების დასაფინანსებლად.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ნარჩენ სახელშეკრულებო დაფარვის ვადებს საანგარიშგებო თარიღისთვის, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით.

2019 წლის 31 დეკემბერი	**სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები**					
'000 ლარი	**საბალანსო ღირებულება**	**სულ**	**0-6 თვე**	**6-12 თვე**	**1-5 წელი**	**5 წელზე მეტი**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	3,543,360	4,080,927	305,471	90,174	2,947,493	737,789
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	42,380	50,218	19,000	-	31,218	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,807	325,807	325,807	-	-	-
	3,911,547	**4,456,952**	**650,278**	**90,174**	**2,978,711**	**737,789**

2018 წლის 31 დეკემბერი	**სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები**					
'000 ლარი	**საბალანსო ღირებულება**	**სულ**	**0-6 თვე**	**6-12 თვე**	**1-5 წელი**	**5 წელზე მეტი**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	3,429,998	4,025,622	921,664	92,390	2,631,318	380,250
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	53,874	66,537	17,000	-	49,537	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	368,063	368,063	368,063	-	-	-
	3,851,935	**4,460,222**	**1,306,727**	**92,390**	**2,680,855**	**380,250**

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით.

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობა გავლენას მოახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის დონის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

(i) სავალუტო რისკი

ჯგუფი საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და კრედიტების ვალუტებს და ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტებს შორის. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად არის გამოხატული და რომლითაც ანგარიშსწორება ხდება არის აშშ დოლარი, შვეიცარიული ფრანკი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის სავალუტო რისკებზე დაქვემდებარება არის შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში გამოხატული 2019	შვეიცარიულ ფრანკში გამოხატული 2019	ევროში გამოხატული 2019	აშშ დოლარში გამოხატული 2018	შვეიცარიულ ფრანკში გამოხატული 2018	ევროში გამოხატული 2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	222,805	133	7	338,710	17	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,733	6,957	59	36,024	4,323	778
სასესხო მოთხოვნა	4,087	-	-	2,838	-	-
სესხები და კრედიტები	(2,756,275)	-	(787,085)	(2,657,810)	-	(772,188)
რესტრუქტურიზე -ბული ვალდებულებები	(2,242)	-	(1,009)	(2,340)	-	(1,302)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(84,942)	(15)	(17,378)	(57,264)	-	(21,484)
ნეტო დაქვემდებარება	**(2,606,834)**	**7,075**	**(805,406)**	**(2,339,842)**	**4,340**	**(794,185)**

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
	2019	2018	2019	2018
1 აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766
1 შვეიცარიული ფრანკი	2.8374	2.5910	2.9488	2.7268
1 ევრო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის შესაძლო შესუსტება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, სხვა ვალუტებთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას იქონიებდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები თანხებით. სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე პირდაპირ გავლენას ადგილი არ ექნებოდა. ანალიზი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება და უგულვებელყოფს პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვების გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
2019 წლის 31 დეკემბერი	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(260,683)
შვეიცარიული ფრანკი (10%-იანი შესუსტება)	708
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(80,541)

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
2018 წლის 31 დეკემბერი	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(233,984)
შვეიცარიული ფრანკი (10%-იანი შესუსტება)	434
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(79,419)

ლარის გამყარებას ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ 31 დეკემბრისთვის ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე ზემოთ მოცემულ თანხებით იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, რადგან ეს იწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილებას. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი - ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა ახალი სესხის აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას ჯგუფში შემავალი საწარმოების ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ მოსაზრებას სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვლადი.

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2019	**2018**
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	411,711	678,880
ფინანსური ვალდებულებები	(2,498,794)	(2,334,954)
	(2,087,083)	**(1,656,074)**
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(1,044,566)	(1,095,044)
	(1,044,566)	**(1,095,044)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიან ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

საანგარიშგებო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში გონივრული შესაძლო 100 საპროცენტო პუნქტით ცვლილება გაზრდიდა (შეამცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს (გადასახადების გამოკლებით) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ეს ანალიზი აკეთებს დაშვებას, რომ სხვა ცვლადი, კერძოდ კი უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი რჩება.

	მოგება ან ზარალი	
'000 ლარი	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით კლება
2019		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(10,446)	10,446
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(10,446)**	**10,446**
2018		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(10,950)	10,950
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(10,950)**	**10,950**

(f) კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის პროცესში ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ჯგუფის მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების უნარის ხელშეწყობა, აქციონერებისთვის ამონაგების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად ოპტიმალური კაპიტალური სტრუქტურის უზრუნველყოფის გზით.

ჯგუფი მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს. გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები.

სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალური ბაზის შექმნას ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორის, კრედიტორის და ბაზრის ნდობა და შენარჩუნებულ იქნას ბიზნესის მომავალი განვითარება.

ჯგუფის ვალისა და კაპიტალის თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	2019	2018
სულ ვალდებულებები	4,139,742	4,043,675
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(515,020)	(780,150)
წმინდა დავალიანება	**3,624,722**	**3,263,525**
სულ კაპიტალი	**1,864,935**	**1,770,898**
ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1.94**	**1.84**

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვისადმი ჯგუფის მიდგომა არ შეცვლილა.

არც ფონდი და არც მისი შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ გარედან დაწესებული კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

23. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები

სს „საქართველოს რკინიგზა“ დაფუძნდა სახელმწიფოს საკუთრების ქვეშ მყოფი საწარმოს სახით 1998 წლის დეკემბრის თვეში, როგორც საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტირების მომსახურების გამწევი პირი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება #929-ის საფუძველზე. სს „საქართველოს რკინიგზის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვეყანაში სარკინიგზო სისტემის ფუნქციონირება, სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურებისა და განვითარების და ასევე საქართველოში სარკინიგზო ხაზების მშენებლობის გზით.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ დაფუძნდა სახელმწიფოს საკუთრების ქვეშ მყოფი საწარმოს სახით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანებით, სამი სახელმწიფო კომპანიის (სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და სს „თელეთის ნავთობის კომპანია“) საფუძველზე. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის იმპორტირება და გაყიდვა, გაზისა და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობისა და გაზის ექსპლუატაცია და მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე. 2006 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ საპრეზიდენტო ბრძანებით #736 მიენიჭა „ნაციონალური ნავთობის კომპანიის“ სტატუსი და ის მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, იღებს და ყიდის მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს წილს და საქართველოს ტერიტორიაზე შემსრულებლების მიერ ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფოსა და შემსრულებლებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოებულ ბუნებრივ აირს. 2013 წლის ოქტომბერში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და სს „საპარტნიორო ფონდმა“ შექმნეს ახალი შვილობილი კომპანია - შპს „გარდაბნის თბოსადგური“ შესაბამისი 51% და 49%-იანი წილებით. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ათასი აშშ დოლარით. გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 175,185 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 175,185 ათასი ლარი). შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის (CCPP) მშენებლობისა და ოპერირების მიზნით. სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის ივლისში. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა შემოსავლის მოტანა დაიწყო 2015 წლის სექტემბრის თვიდან.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ 2002 წლის 12 ნოემბერს, სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის საფუძველზე და წარმოადგენს მათ კანონიერ უფლებამონაცვლეს. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მთავარი შვილობილია შპს „ენერგოტრანსი“, სახელმწიფო საწარმოს სახით 2002 წელს დაფუძნებული პირი. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და მისი შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემას და მიწოდებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, რომელიც რეგულირდება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის შესახებ კანონით, და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მიღებული ლიცენზიების საფუძველზე. შპს „ენერგოტრანსი“ ფლობს ვარძიის და ზეკარის 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებს და მესხეთი-თურქეთის დამაკავშირებელ 400 კვ-იან ხაზს, რომელიც აშენდა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) შემადგენელი ნაწილის

სახით. ეს პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ახალი გადამცემი ხაზები უზრუნველყოფენ საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის დამატებით უსაფრთხოებას ახალი დასავლეთ-აღმოსავლეთის 500 კვ-იანი ხაზის დამატებით, რითაც შექმნა თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის დამატებით შესაძლებლობა. წარსულში ფინანსური სირთულეების გამო, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მოცემული მომენტისთვის რეაბილიტაციის პროცესს გადის, რომელსაც მართავს მენეჯერი რეაბილიტაციის საკითხებში, სარეაბილიტაციო გეგმის (იხილეთ შენიშვნა 19) შესაბამისად. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ კონტროლის შეფასების დროს, ხელმძღვანელობამ სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინა მისი რეაბილიტაციის პროცესის შეწყვეტის უნარი და სესხის დაფარვის გზით რეაბილიტაციის მენეჯერის მოხსნის შესაძლებლობა.

სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ დაფუძნდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, რომლის უპირატეს მიზანს წარმოადგენდა საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა, ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი და საქართველოში ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის გამარტივება.

სს „Aerostructure Technologies Cyclone“ საქართველოში დააფუძნეს სს „საპარტნიორო ფონდმა“, შპს „პროექტმა“ (ჯგუფის 100%-იანი საკუთრებით) და შპს „Elbit Systems - Cyclone“-მა 2015 წლის მარტის თვეში, შესაბამისი 33.33%, 33.33% და 33.34%-იანი წილებით. მხარეები შეთანხმდნენ შვილობილი კომპანიის დარეგისტრირებაზე 60,000 ათასი ლარის სააქციო კაპიტალით.

აქციონერთა ხელშეკრულების შესაბამისად, კონკრეტული გადაწყვეტილებებისთვის საჭიროა ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობის აზრით ჯგუფს კონტროლი აქვს შვილობილ კომპანიაზე იმის გამო, რომ ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვლად ამონაგებს შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებებზე შვილობილ კომპანიაზე მისი მართვის უფლებით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის სააქციო ხელშეკრულებას, რომლისთვისაც მოითხოვება ხმების მარტივი უმრავლესობა.

შვილობილი კომპანია შეიქმნა კომერციული (სამოქალაქო) ბაზრისთვის კომპოზიციური აერო-სტრუქტურის პროდუქტების შემუშავებაში, წარმოებაში, გაყიდვასა და მხარდაჭერაში ჩართულობის მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ინფორმაცია ჯგუფის შვილობილ კომპანიასთან - სს „Aerostructure Technologies Cyclone“ დაკავშირებით:

'000 ლარი	2019	2018
არამაკონტროლებელი წილის პროცენტული ოდენობა	34%	34%
გრძელვადიანი აქტივები	128,151	129,105
მიმდინარე აქტივები	9,055	6,982
გრძელვადიანი ვალდებულებები	(67,262)	(10,861)
მიმდინარე ვალდებულებები	(10,866)	(40,958)
წმინდა აქტივები	(59,078)	(84,268)
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	**(19,559)**	**(28,651)**
შემოსავალი	12,174	-
ზარალი	(26,741)	(40,680)
მთლიანი სრული ზარალი	**(26,741)**	**(40,680)**
არამაკონტროლებელ წილზე განაწილებული ზარალი	(9,092)	(13,832)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(13,016)	(33,931)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(14,707)	(19,130)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (დივიდენდები არამაკონტროლებელ წილებზე: ნული)	24,374	18,707
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება	**(3,349)**	**(34,354)**

24. იჯარები

ფასს 16-ზე გადასვლისას, ჯგუფი გეგმავს პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებას გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის. ჯგუფმა ფასს 16 გამოიყენა მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ადრე იდენტიფიცირებული იყო, როგორც იჯარები ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე. შესაბამისად, ფასს 16-ის საფუძველზე იჯარის განმარტება გამოიყენება მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5).

(a) იჯარები - მოიჯარე

ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულებები, რომელშიც ის მოიჯარის სახით მოქმედებს, 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიდგომები ფასს 16-ის გამოყენებისას იმ იჯარებზე, რომლებიც ადრე ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად იყო კლასიფიცირებული. კერძოდ, ჯგუფმა არ აღიარა გამოყენების უფლებით აქტივები და ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის.

(b) იჯარები - მეიჯარე

(i) საოპერაციო იჯარა

ჯგუფი ასევე იჯარით გასცემს გაზის მილსადენს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, მის საკუთარ ქონებას, დაკავშირებულ მხარეზე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. იჯარის ხელშეკრულება არა-გაუქმებადია და ის მოქმედებს 2021 წლის 1 იანვრამდე. ჯგუფმა მოახდინა გაზის მილსადენის იჯარის საოპერაციო იჯარად კლასიფიკაცია, რადგან ის არ გადასცემს აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას (იხილეთ შენიშვნა 6). ჯგუფის მიერ 2019 წლის განმავლობაში აღიარებული საიჯარო შემოსავალი 43,059 ათას ლარს შეადგენდა (2018: 42,053 ათასი ლარი).

ჯგუფი ასევე იჯარით გასცემს მის ვაგონებს, სხვა შენობა-ნაგებობებს, კონტეინერებს, ლოკომოტივებს და ხელსაწყოებს. ჯგუფმა მოახდინა ამ იჯარების საოპერაციო იჯარებად კლასიფიკაცია, რადგან ისინი არ გადასცემენ აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას ჯგუფის მიერ 2019 წლის განმავლობაში აღიარებული საიჯარო შემოსავალი 16,090 ათას ლარს შეადგენდა (2018: 11,297 ათასი ლარი) და ის შემოსავალშია შეტანილი. იხილეთ შენიშვნა 5.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საიჯარო გადასახდელების დაფარვის ვადების ანალიზი საიჯარო ხელშეკრულებების არაგაუქმებადი პერიოდის განმავლობაში, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ძალაში შესული, საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მისაღები არადისკონტირებული საიჯარო გადახდების წარდგენის გზით.

'000 ლარი	
2019 - საოპერაციო იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
ერთ წელზე ნაკლები	4,946
ერთიდან ხუთ წლამდე	7,762
5 წელზე მეტი	23,178
	35,886
2018 - საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში	
ერთ წელზე ნაკლები	5,400
ერთიდან ხუთ წლამდე	4,610
5 წელზე მეტი	17,753
	27,763

(ii) ფინანსური იჯარა

ჯგუფი იჯარით გასცემს ნავთობის მილსადენებს და იღებს თითოეული ტრანსპორტირებული ბარელი ნავთობის ტრანზიტის საფასურს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას იჯარის ვადის დასაწყისში, რადგან საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ჯგუფმა მოახდინა ნავთობის მილსადენის იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება ბასს 17-ის საფუძველზე.

ჯგუფმა აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა, ჯგუფისთვის მილსადენებზე საკუთრების უფლების გადაცემის თარიღისთვის. იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური მოთხოვნა აქტივების არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას წარმოადგენს, იჯარის ვადის ბოლოსთვის (იხილეთ შენიშვნა 12).

ჯგუფს არ განუხორციელებია კორექტირებები ფასს 16-ზე გადასვლისას ნავთობის მილსადენის იჯარისთვის, რომელშიც ის მეიჯარეს სახით მოქმედებს.

ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულმა პირობითმა საიჯარო ქირამ, რომელიც მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაშია აღიარებული 2019 წლის განმავლობაში, 21,168 ათასი ლარი შეადგინა (2018 : 18,367 ათასი ლარი).

25. კაპიტალური დაბანდების ვალდებულება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვის ან მშენებლობის თაობაზე 331,617 ათასი ლარის ოდენობით (2018: 333,188 ათასი ლარი), მეტწილად უკავშირდება 91,152 ათასი ლარის ღირებულების (2018: 109,113 ათასი ლარი) მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პროექტს და თბილისის შემოვლითი გზის პროექტს 240,012 ათასი ლარის ოდენობით (2018: 222,203 ათასი ლარი, რომელიც იზრდება მხოლოდ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით).

ხელმძღვანელობა არ მოელის რომ კონტრაგენტთან სამშენებლო ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც თბილისის შემოვლითი გზის პროექტის დასრულებაზე არის პასუხისმგებელი, ზემოთ ხსენებული თანხის გადახდის ვალდებულებას გამოიწვევს.

ამასთან, ჯგუფმა გააფორმა მილსადენების და კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II-ის მშენებლობის და ძალოვანი ტრანსფორმატორის შესყიდვის ხელშეკრულებები დაუფარავი კაპიტალური დაბანდების ვალდებულებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,802 ათასი ლარის, 45,030 ათასი ლარის და 2,266 ათასი ლარის ოდენობით (2018: 16,825 ათასი ლარი და 220,576 ათასი ლარი, შესაბამისად).

ჯგუფი წარმოადგენს დამატებითი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ძალაშია 2026 წლამდე, რომლის თანახმადაც ჯგუფმა უნდა მიიღოს და გადაიხადოს, თუ არ მიიღებს, გადაიხადოს გაზის კონკრეტული რაოდენობის ღირებულება და წინასწარ განსაზღვრული ფასებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიმდინარე საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლებია. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაძენი და ასანაზღაურებელი დამატებითი გაზის მთლიანი დარჩენილი რაოდენობა შეადგენდა 783,315 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 823,398 ათასი ლარი).

ჯგუფი ასევე არის ბუნებრივი აირის რეალიზაციის ხელშეკრულების მხარე, რომლის თანახმადაც მისმა კლიენტმა უნდა მიიღოს და გადაიხადოს, თუ არ მიიღებს, გადაიხადოს ჯგუფის მიერ შეძენილი გაზის, მათ შორის დამატებითი გაზის მთლიანი რაოდენობის ღირებულება. შედეგად, ჯგუფის აზრით დამატებითი გაზის ნასყიდობასთან დაკავშირებით მათი ვალდებულება გაიქვითება ჯგუფის კლიენტის ვალდებულებით, შეიძინოს გაზის ეს რაოდენობა და წარმოადგენს ეფექტურ ორმხრივ სახელშეკრულებო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფი გადასცემს მის ვალდებულებებს ჯგუფის კლიენტის მიმართ.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულება შეეძინა 138,656 ათასი ლარის (2018: 154,353 ათასი ლარი) აღჭურვილობა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის. კაპიტალური დაბანდების ვალდებულება უკავშირდება პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და ის დაფინანსდება საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან აღებული გამოუყენებელი საკრედიტო ხაზებით.

26. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

საქართველოში დაზღვევის სფერო განვითარების ეტაპზეა და დაზღვევის ბევრი ფორმა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სხვა კუთხეებში, ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს მისი საწარმოო ობიექტების, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე მხარეთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, ჯგუფის ობიექტებზე ან მასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან წარმოშობილი ქონების ან გარემოს დაზიანებისთვის. სანამ ჯგუფი არ მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არსებობს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ გამოიწვიოს არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავები

ფრონტერას საქმე:

2018 წლის ივლისში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“ სარჩელი წარადგინეს კომპანიის „Frontera Resources Georgia Corporation“ წინააღმდეგ. „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, სხვა საკითხებთან ერთად ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ ფრონტერამ არსებითად დაარღვია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების კონკრეტული დებულებები, მათ შორის, (მაგრამ არა მხოლოდ) სახელშეკრულებო ფართის დაახლოებით 99%-ის დათმობა. ამის გარდა, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის ნავთობის გაზიარებისა და დათმობის ვალდებულებების დარღვევისთვის ფულად ანაზღაურებას და ბუნებრივი რესურსით სარგებლობის საფასურის ანაზღაურებას, რომელიც გადაიხადა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და არასოდეს აუნაზღაურებია ფრონტერას.

2018 წლის სექტემბრის თვეში, ფრონტერამ შემხვედრი სარჩელი შეიტანა და მოითხოვა 3.5 მილიარდი აშშ დოლარი 2012 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში გამოუმუშავებელი მოგების ანაზღაურებად, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების კონკრეტული დარღვევების გამო. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ მიიჩნევენ, რომ შემხვედრი სარჩელი დაუსაბუთებელია და აქტიურად ასაჩივრებენ მას. გამოუმუშავებელი მოგების მოთხოვნასთან ერთად, ფრონტერამ სარჩელით მოითხოვა 3.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით გადასახადების (დღგ და აქციზის გადასახადი) და მე-12 ბლოკთან წვდომის მიღებისთვის გაწეული სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებას 74 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2019 წელს ფრონტერამ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა განცხადებით შემხვედრი სარჩელების ნებაყოფლობით გაუქმების თაობაზე. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“ გაასაჩივრეს ფრონტერას მოთხოვნა, მაგრამ მოგვიანებით გააუქმეს შემოთავაზებულ გამოთხოვაზე მათი შეწინააღმდეგება.

2020 წლის 17 აპრილს საარბიტრაჟო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო სადავო საკითხებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო სასამართლომ დაიცვა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ინტერპრეტაცია, რადგან ის განსაზღვრავდა მხარეთა შესაბამის უფლებებს და ვალდებულებებს. სხვა გადაწყვეტილებს შორის, საარბიტრაჟო სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ფრონტერამ არსებითად დაარღვია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მის მიერ საძიებო ტერიტორიის დათმობისა და საქართველოს მთავრობაზე დაბრუნებაზე უარის თქმით. განაჩენის თანახმად, ფრონტერა და შპს „Frontera Resources US“ ვალდებული არიან სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ აუნაზღაურონ მათ მიერ ფრონტერას სახელით გადახდილი მინერალური რესურსებით სარგებლობის გადასახადი, ასევე სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები. საარბიტრაჟო სასამართლოს განაჩენი იწვევს ფრონტერას მიერ შეტანილი შემხვედრი სარჩელების გაუქმებას და გაწვევას. საარბიტრაჟო სასამართლოს განაჩენი საბოლოო და დამავალდებულებელია მხარეებისთვის, მისი პირობების და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

ამ მომენტისთვის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ შემდგომ ღონისძიებებს გეგმავენ, რომლებიც განაჩენის აღსრულებაზეა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების განხორციელებაზეა მიმართული.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების მოსაზრება ჯგუფის ინტერპრეტაციისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფს გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არ აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

(e) ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები

ჯგუფმა გააფორმა ახალი ელექტროსადგურების, თერმული ელექტროსადგურების და ქარის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები. მთლიანობაში გაფორმდა 7 ხელშეკრულება (2018: 48 ხელშეკრულება). ელექტროსადგურები მშენებლობის პროცესშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დასრულება იგეგმება 2020 წელს. 2019 წელს დასრულდა თერთმეტი ელექტროსადგურის მშენებლობა (2018: ხუთი ელექტროსადგური). ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს „აღმასრულებელ ხელშეკრულებებს“ და ისინი არ არის „დამამძიმებელი“ ხელშეკრულებები ბასს 37-ის (*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*) საფუძველზე და შეუძლებელია შემოსავლის და გაყიდული საქონლის თვითღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, რომლებსაც ჯგუფი მიიღებს მშენებლობების დასრულების და ელექტროსადგურების მეიერ ელექტროენერგიის წარმოების დაწყების შემდეგ.

27. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდი იმყოფება საქართველოს მთავრობის 100%-იან საკუთრებაში.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელში.

'000 ლარი	2019	2018
ხელფასები და პრემიები	5,634	5,340

(c) ოპერაციები სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პირებთან

ჯგუფი მის ყოველდღიურ ოპერაციებს ახორციელებს რამდენიმე საწარმოსთან, რომლებსაც აკონტროლებს/ერთობლივად აკონტროლებს საქართველოს მთავრობა ან იმყოფება მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ბასს 24-ის *(დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები)* შეღავათი, რომელიც სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პირებთან ოპერაციების შესახებ დაკავშირებულ მხარეთა შემცირებული განმარტებითი შენიშვნების წარდგენის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი ოპერაციები საქართველოს მთავრობის კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ პირებთან და ამგვარი ოპერაციების ნაშთები განხილულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ყველა სხვა შემოსავლისა და ხარჯის, ასევე სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირების შესაბამისი ნაშთების ერთობლივი თანხები საანგარიშგებო თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი. ოპერაციები აქციონერებთან განხილულია შენიშვნაში 18.

(i) შემოსავალი

’000 ლარი	გარიგების ღირებულება	
	2019	2018
სახელმწიფოს კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფი საწარმოები:		
გაზის მილსადენების იჯარა	43,059	42,053
ელექტროენერგიის გადაცემა და განაწილება	-	5
ელექტროენერგიის წარმოება	8,095	34,022

ჯგუფი ჩვეულებრივ არ ფლობს მნიშვნელოვან ნაშთებს ზემოთ განსაზღვრული ოპერაციებისთვის.

(ii) ხარჯები

’000 ლარი	გარიგების ღირებულება	
	2019	2018
სახელმწიფოს კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფი საწარმოები და უწყებები:		
ბუნებრივი აირის თვითღირებულება	6,466	5,357
საბალანსო ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვა	1,112	4,973

ჯგუფი ჩვეულებრივ არ ფლობს მნიშვნელოვან ნაშთებს ზემოთ განსაზღვრული ოპერაციებისთვის.

(iii) სესხები

’000 ლარი	საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2019	2018	2019	2018
მიღებული სესხები:				
აქციონერი	1,974	-	20,614	-
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	20,804	20,940	1,050,317	1,037,868

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ძირითადი პირობები და დაფარვის ვადები განხილულია შენიშვნაში 18(a).

(iv) რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

ჯგუფის რესტრუქტურიზებული ვალდებულებები უმეტესად მოიცავენ ვალდებულებებს საქართველოს მთავრობის ან სახელმწიფო უწყებების მიმართ.

28. შემდგომი მოვლენები

2020 წლის სექტემბერში ჯგუფმა გამოიყენა თავისი სახელშეკრულებო უფლება და გაახანგრძლივა „Credit Suisse“-სგან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა 2021 წლის სექტემბრამდე. ძირითადი თანხის დაფარვის ვადა თავდაპირველად 2020 წლის სექტემბერში იყო. სესხის პროცენტი გაიზარდა წელიწადში Libor+6.5%-მდე. ჯგუფის მიერ „Credit Suisse“-სთვის გადახდილმა საკომისიო თანხამ სესხის ვადის გახანგრძლივების თარიღში 1,491 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის დეკემბერში დასრულდა კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II-ის მშენებლობა. „გარდაბანი II“-ზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ („სემეკი“) ელექტროენერგიის გამომუშავების ლიცენზია 2020 წლის 25 მარტს გასცა და სადგური სატესტო რეჟიმიდან სრულად ფუნქციონირებად რეჟიმში გადავიდა.

2020 წლის აპრილის თვეში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გააფორმა ხელშეკრულების დანართი მთავარ კლიენტთან „SOCAR Gas Export-Import“. ამ ცვლილების საფუძველზე, სოკარის გაზის 2020 წლის სარეალიზაციო ფასები განმეორებით გადაიხედა და 2020 წლისთვის შეთანხმდა უფრო დაბალი სარეალიზაციო ფასები.

2020 წლის აპრილში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და რუსეთის სახელმწიფო კომპანიამ შპს „გაზპრომ ექსპორტმა“ გააფორმეს 2019 წლის 13 მარტით დათარიღებული გაზის მიწოდების ხელშეკრულების დანართი #1 („გაზპრომის ხელშეკრულება“). ცვლილებაში მითითებული იყო მხარეთა შეთანხმება ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ფასის შემცირებაზე, რომელსაც რეტროაქტიული ძალა აქვს და მოქმედებს 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

2020 წლის სექტემბერში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრო ობლიგაციების რეფინანსირებისთვის, რომელთა დაფარვის ვადა 2021 წლის აპრილია. სესხის ძირი თანხა 217 მილიონი ევროა, ევრო-ლიბორის საპროცენტო განაკვეთით +3,3%, ხოლო ვადა 10 წელია.

ცვლილებები ჯგუფის სტრუქტურაში

2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს მიერ გაცემული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ჯგუფის კაპიტალი, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ 100%-იანი წილების საქართველოს მთავრობისთვის (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) გადაცემის გზით.

2019 წელს ჯგუფის მიერ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტებთან ოპერაციების ფარგლებში მიღებული სს „საქრუსენერგოში“ 50%-იანი წილი, სრულად დაუბრუნდა საქართველოს მთავრობას 2020 წლის თებერვალში.

2020 წლის ივნისში, დაიწყო შპს „კლინიკების განვითარების კომპანიის“ ლიკვიდაციის პროცედურები, რომლის შემდეგ სრულად გაუქმდება ჯგუფის ინვესტიციებში 100%-იანი საკუთრების უფლება. შპს „კლინიკების განვითარების კომპანიის“ შვილობილი კომპანიები, იმ მიწასა და შენობა-ნაგებობებთან ერთად, რომელზეც ისინი ფუნქციონირებენ, სრულად გადაეცა საქართველოს მთავრობას, 2020 წლის 06 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული გადაწყვეტილების მიხედვით. შპს „კლინიკების განვითარების კომპანიის“ ერთადერთი მიზანი იყო შვილობილი საავადმყოფოების და დაკავშირებული უძრავი ქონების მართვა.

2020 წლის ივლისში, ფონდის მეკავშირე საწარმოს სს „Vanric Agro“ (ფონდის წილი 40.48%) გაკოტრების პროცედურების ნაწილის სახით ჩატარდა საჯარო აუქციონი, ამ კომპანიის აქციების გასაყიდად. საჯარო აუქციონის გამარჯვებული ადგილობრივი კომპანია შპს „ეფკო“ იყო, რომელმაც ფონდთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება, 2019 წელს გაფორმებული ფაქტორინგის ხელშეკრულების შესაბამისად. სესხის ძირითადი თანხაა 2.5 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც ფონდისთვის სასესხო მოთხოვნას წარმოადგენს.

2020 წლის სექტემბერში ფონდმა საჯარო აუქციონი ჩაატარა სს „თელასში“ საკუთრების უფლების წილის (24.53%) მთლიანად გასაყიდად. საჯარო აუქციონის გამარჯვებული იყო ადგილობრივი კომპანია შპს „Best Energy Group“, რომელმაც შეიძინა სს „თელასის“ აქციები დაახლოებით 10,500 ათასი აშშ დოლარად.

2020 წლის სექტემბერში, ფონდის ერთ-ერთმა მეკავშირე საწარმომ - სს „Panex“-მა ფონდისგან სრულად გამოისყიდა მისი აქციები (48.17%), 2,055 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

კოვიდ-19 პანდემია

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი (კოვიდ-19) პანდემიად გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიების სახით, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში გარკვეულ საქმიანობებზე სხვადასხვა შეზღუდვები დააწესა. სხვადასხვა დროს დაწესებული შეზღუდვები მოიცავს საზღვარგარეთ მოგზაურობების აკრძალვას, ქვეყანაში კონკრეტულ საათებში ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვას, ყველა საჯარო ტრანსპორტის შეზღუდვას, ყველა კომერციული საქმიანობის შეზღუდვას, გარდა ისეთი საქმიანობებისა, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად, ასევე კონკრეტულად განსაზღვრული საქმიანობების გარდა (სასურსათო მაღაზიები, ფარმაცევტიკა, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, ფოსტა და სხვა).

კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქებამ და მისმა სწრაფმა გავრცელებამ საქართველოში გამოიწვია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს-გარემოში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, რამაც, თავის მხრივ გამოიწვია საგანგებო ვითარების გამოცხადება, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტის საფუძველზე. ამ დეკრეტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 აპრილამდე გაგრძელდა, რომელიც შემდგომ 2020 წლის 22 მაისამდე გახანგრძლივდა.

კოვიდ-19-ის გავლენა ჯგუფზე აღწერილია შენიშვნაში 2(b).

29. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

30. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევარულად იქნა გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა 2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 16-ის მიღებისა და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის თარიღში, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით. ეს არის ჯგუფზე კონტროლის გადაცემის თარიღი.

ჯგუფი გუდვილს აფასებს შეძენის თარიღში შემდეგი სახით:

- გაცემული საზღაურის სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილების აღიარებული თანხა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება ეტაპობრივად ხდება, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული სააქციო წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ღირებულება (ზოგადად, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ზედმეტობა უარყოფითია, სარფიანი ნასყიდობიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადაცემული საზღაური არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაფარვასთან დაკავშირებულ თანხებს. ამგვარი თანხები, ზოგადად მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

გარიგების დანახარჯები, გარდა სასესხო ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა, რომლებსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შეძენის თარიღში. თუ პირობითი ანაზღაურება, კაპიტალის სახით არის კლასიფიცირებული, ის არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტრელებელი წილები ფასდება შესყიდული საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით, შეძენის თარიღში.

შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი გარიგებების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ფონდის მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილი კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების თარიღიდან, კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე პერიოდში. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგების მიზნით. შვილობილ კომპანიებში არამაკონტროლებელ წილებთან დაკავშირებული დანაკარგები ნაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი, თუ ამგვარი ქმედება გამოიწვევს არამაკონტროლებელი წილების დეფიციტურ ნაშთს.

(iv) შესყიდვები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან

ჯგუფის მაკონტროლებელი აქციონერის კონტროლს ქვეშ არსებულ საწარმოებში წილის გადაცემით წარმოშობილი საწარმოთა გაერთიანებები აღირიცხება ჯგუფის მიერ კონტროლის მიღების თარიღიდან. შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება შეძენილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული საბალანსო ღირებულებით. შეძენილი საწარმოების კაპიტალი ჯგუფის კაპიტალს ემატება. ნასყიდობის წინა წილები განმეორებით არ ფასდება. ნასყიდობაში გადახდილი ნებისმიერი ფულადი სახსრები პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

(v) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის ნებისმიერი სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით წარმოშობილი ნებისმიერი ზედმეტობა ან დანაკლისი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ ჯგუფი შეინარჩუნებს წილს წინა შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, კონტროლის დაკარგვის თარიღში. ამის შემდეგ ის აღირიცხება როგორც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში ან გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონის მიხედვით.

(vi) ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში)

ჯგუფის წილები ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილს მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებზეც ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვან გავლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ფლობს მეორე საწარმოს ხმის უფლების 20% დან 50%-მდე. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელშიც ჯგუფს აქვს ერთობლივი კონტროლის უფლება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებები საწარმოს წმინდა აქტივებზე, და არა უფლებები მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში წილები აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და ისინი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით ან ინვესტიციის მიმღების ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში მისი შეძენის თარიღისთვის, თუ ამგვარი შეძენა მომდინარეობს საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოდან. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს გარიგების დანახარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის წილს მოგებაში ან ზარალში და მეკავშირე კომპანიების სხვა სრულ შემოსავალში, მას შემდეგ რაც განხორციელდება ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკების ჯგუფის პოლიტიკებზე მოსარგებად, იმ თარიღიდან, როდესაც დაიწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მნიშვნელოვანი გავლენის ან ერთობლივი კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

როდესაც ჯგუფის ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოებში, ამგვარი წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციის ჩათვლით, შემცირდება ნულამდე და შემდგომი ზარალის აღიარება შეწყდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჯგუფს ექნება ვალდებულება ან განხორციელებული ექნება გადახდა ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(vii) ერთობლივი საქმიანობა

ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს თითოეული საწარმოს მიერ განხორციელებულ შეთანხმებას, მისი საკუთარი აქტივების გამოყენებით ერთობლივი ოპერაციების განხორციელების პროცესში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს აქტივებს, რომლებსაც აკონტროლებს ჯგუფი და ვალდებულებებს, რომლებსაც ის გასწევს ერთობლივი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ხარჯებს, რომლებსაც გასწევს ჯგუფი და მისი შემოსავლის წილს, რომელსაც ის ერთობლივი ოპერაციიდან მიიღებს.

(viii) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოიშვება, აღმოიფხვრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსულობა აღმოიფხვრება ინვესტიციებთან მიმართებაში, ინვესტიციის ობიექტში ჯგუფის წილის გათვალისწინებით. არარეალიზებული ზარალი აღმოიფხვრება იგივე ფორმით, როგორც არარეალიზებული შემოსულობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შემოსავალი

კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 6.

(i) მილსადენების იჯარა

საოპერაციო იჯარა:
ჯგუფი შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ იჯარით გასცემს გაზის მილსადენს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას. იჯარის ხელშეკრულება არა-გაუქმებადია და ის მოქმედებს 2021 წლის 1 იანვრამდე.

შემოსავალი გაზის მილსადენების იჯარიდან წარმოადგენს ფიქსირებულ ქირას და ყოველთვიურად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური იჯარა:

ჯგუფი იჯარით გასცემს ნავთობის მილსადენებს და იღებს თითოეული ტრანსპორტირებული ბარელი ნავთობის ტრანზიტის საფასურს. ცვლადი საიჯარო გადასახდელები ყოველთვიურად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის შეთანხმებების ფარგლებში მიღებულ პირობით საიჯარო ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენით ტრანსპორტირებული შეფასებული ნავთობის საფუძველზე, ერთი ბარელი ნავთობის სახელშეკრულებო განაკვეთით.

(iii) საკომისიოები

როდესაც ჯგუფი გარიგებაში აგენტის ფუნქციას უფრო მეტად ასრულებს, ვიდრე პრინციპალისას, აღიარებული შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის მიერ მიღებული საკომისიოს წმინდა თანხას.

(iv) ელექტროენერგიის გაყიდვა

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, მათ შორის ელექტროენერგიის ექსპორტიდან, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. დაბრუნებას, სავაჭრო ფასდათმობას და მოცულობის გამო ფასდაკლებას ადგილი არ ჰქონია. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება (ჩვეულებრივ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება) იმისა, რომ მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება კლიენტს გადაეცა, სავარაუდოა ანაზღაურების აღდგენა, დაკავშირებული ხარჯები და ელექტროენერგიის დაბრუნება შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს, ადგილი არ აქვს მმართველთა უწყვეტ ჩართულობას გაყიდულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით და შემოსავლის რაოდენობა ობიექტურად შეიძლება შეფასდეს. თუ სავარაუდოა, რომ მოხდება ფასდაკლების შეთავაზება და თანხა ობიექტურად შეიძლება შეფასდეს, გაყიდვის აღიარებისას ფასდაკლება აღიარდება როგორც შემოსავლის შემცირება.

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვისთვის, გადაცემა ჩვეულებრივ წარმოიშვება მაშინ, როდესაც ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება ელექტროქსელის იმ სისტემასთან, საიდანაც ელექტროენერგია ნაწილდება ელექტროგადამცემ ხაზებზე და მიიჩნევა კლიენტის მიერ მიღებულად.

2014 წლის შემდეგ, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების გამო, ჯგუფი მოქმედებს, როგორც პრინციპალი გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში და შესაბამისად აღიარებს შემოსავალს და რეალიზებული საქონლის შესაბამის თვითღირებულებას. ჯგუფი გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვაზე საკომისიო თანხას არ დარიცხავს. გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვისთვის, 2014 წლის 1 სექტემბრამდე ჯგუფი აგენტის როლში უფრო მეტად გამოდიოდა, ვიდრე პრინციპალის, გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში.

(v) მომსახურება

ჯგუფი შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გადაცემიდან. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, თვის განმავლობაში გადაცემული და განაწილებული ელექტროენერგიის მოცულობის და მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფის საფუძველზე. კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს ფასდაკლებებს. ინვოისები ყოველთვიურად გადაიხდება.

(vi) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები თავდაპირველად აღიარდება გადავადებული შემოსავლის სახით სამართლიანი ღირებულებით, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ მისი მიღება მოხდება და რომ ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს; ამის შემდეგ შემოსავალი სისტემატიურად აღიარდება მოგებაში ან ზარალში როგორც სხვა შემოსავალი, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. გრანტები, რომლითაც ჯგუფს გაწეული დანახარჯები უნაზღაურდება, სისტემატიურად აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა შემოსავალი იმავე პერიოდებში, რომელშიც ხდება დანახარჯების აღიარება.

(c) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე, დისკონტირების ამორტიზაციას ფინანსურ საიჯარო მოთხოვნაზე, დისკონტირების ამორტიზაციას რესტრუქტურიზებულ მოთხოვნებზე და საკურსო სხვაობით წარმოქმნილ შემოსულობას.

ფინანსური ხარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება, რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე დისკონტირების ამორტიზაციას, საკურსო სხვაობით წარმოქმნილ ზარალს, სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებულ გაუფასურების ზარალს და სხვა ფინანსურ აქტივებს.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

– ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
– ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულებაზე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქტივის (როდესაც აქტივი არ არის კრედიტით გაუფასურებული) მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური

აქტივებისთვის, რომლებიც კრედიტით გაუფასურდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ბრუტო საფუძველს უბრუნდება.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც არ არის პირდაპირ მიკუთვნებადი კვალიფიციური აქტივის შესყიდვაზე, მშენებლობასა თუ წარმოებაზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი აღიარდება წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ - წმინდა ზარალის.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტირდება ლარში ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღში კონვერტირდება ლარში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ლარში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულება ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და გადაიხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის შემდეგ. ვალდებულება აღიარდება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე გადასახდელი ოდენობებისთვის, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქტიული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა სათანადო სიზუსტით იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას, თუმცა ზოგიერთი სხვა გარიგებაც (მაგ. არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებბულ მხარეებთან და ოპერაციები გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირებთან) ასევე არის მიჩნეული მოგების განაწილებად. ამასთანავე, საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, საქონლისა და მომსახურების უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებას და, შესაბამისად, არ წარმოიშვება არანაირი გადავადებული მოგების გადასახადი.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ძირითადად განისაზღვრება ე.წ. „ფიფო“ მეთოდის გამოყენებით და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, დამუშავების და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წარმოებული მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის პირობებში საწარმოო ზედნადები ხარჯის შესაბამის წილს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯები.

(h) გასაყიდად ან გასანაწილებლად ფლობილი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები ან აქტივებისა და ვალდებულებებისგან შემდგარი გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი, რომელთა აღდგენა უმეტესად მოსალოდნელია გაყიდვით ან განაწილებით და არა ხანგრძლივი სარგებლობით, გასაყიდად ან გასანაწილებლად ფლობილის სახით არის კლასიფიცირებული.

გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებამდე, აქტივები ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფის კომპონენტები განმეორებით ფასდება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად. შესაბამისად, ზოგადად აქტივების ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფის შეფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულებას და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი გასაყიდად ან გასანაწილებლად განკუთვნილად თავდაპირველი კლასიფიკაციისას, ასევე გადაფასების შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, მოგებაში ან ზარალში აღიარდება. შემოსულობა არ აღიარდება კუმულაციური გაუფასურების ზარალის ნამეტი ოდენობით.

გასაყიდად ან გასანაწილებლად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები არ ამორტიზირდება და ცვეთა არ ერიცხებათ. ამასთან, ინვესტიციის ობიექტების კაპიტალის აღრიცხვა წყდება, გასაყიდად ან გასანაწილებლად განკუთვნილად კლასიფიკაციის შემდეგ.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ჯგუფის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანას, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან შედარების გზით და მოგებაში ან ზარალში აღიარდება წმინდა ოდენობით სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ კომპონენტში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ღირებულების სანდოდ შეფასება არის შესაძლებელი. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ტექნიკური მომსახურების და სარემონტო დანახარჯები შემდეგი სახით აღიარდება:

- მოძრავი შემადგენლობა, რომელიც შესულია „ტრანსპორტის, მანქანა-დანადგარების და სხვ.“ კატეგორიაში:
  - მიმდინარე ტექნიკური მომსახურების დანახარჯები აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (სარემონტო სამუშაო და გამოუსადეგარი და არარსებული ნაწილების გამოცვლა) გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში საოპერაციო ხარჯის სახით;
  - მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული დანახარჯები კაპიტალიზდება განცალკევებულ სარემონტო კომპონენტად და მათზე ცვეთა მთავარი აქტივისგან განცალკევებით ირიცხება;
  - აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსკენ განხორციელებული სარემონტო სამუშაოები, განახლებასთან ერთად კაპიტალიზდება შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ფიქსირებული შემადგენლობა:
  - მიმდინარე ტექნიკური მომსახურების და რემონტის დანახარჯები (ტექნიკური დათვალიერება, სარემონტო ხელშეკრულებები და სხვ.) აღიარდება მოგებაში ან ზარალში საოპერაციო დანახარჯების სახით, მათი გაწევისთანავე;
  - შრომის, მასალების და სხვა დანახარჯები (რომლებიც ლიანდაგების, შპალების და ბალასტის დამონტაჟებას უკავშირდება) შენობებისა და ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურების მრავალწლიანი პროგრამების საფუძველზე, კაპიტალიზდება თითოეული კომპონენტის ნაწილობრივი ან მთლიანი გამოცვლით;
  - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაზრდიან აქტივის სიმძლავრეს (საგზაო სამუშაო სიჩქარე).

(iii) ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე ნარჩენი ღირებულების გამოკლების გზით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული შემადგენელი ნაწილის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან ის განსაკუთრებით დეტალურად ასახავს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ მოხმარების ნიმუშს, რომელიც აქტივშია განივთებული. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

• შენობა-ნაგებობები	15 - 50 წელი
• სარკინიგზო ინფრასტრუქტურა	13-25 წელი
• გაზის და ნავთობის მილსადენები	30-35 წელი
• ნავთობის ჭაბურღილები	4-9 წელი
• ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები	20-35 წელი
• ელექტროენერგიის წარმოების ერთეული	25 წელი
• ტრანსპორტი, მანქანა-დანადგარები და სხვ.	1-25 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(j) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის მიღების, კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივეს მიზნით, მაგრამ არა გასაყიდად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის მიწოდების, მომსახურების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებაზე გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ჯგუფის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანას, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს.

თუ საინვესტიციო ქონებებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაანგარიშდება როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა ამონაგებსა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი დანახარჯები

საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ფონდი მიიღებს ამ კომპონენტში განივთებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ღირებულების სანდოდ შეფასება არის შესაძლებელი. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტებს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მათ ცვეთა განცალკევებით ერიცხებათ.

ცვეთის აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით საინვესტიციო ქონების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისების ნიმუშს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობისას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება იმ თარიღში, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.
პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.
ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს

ვალის ინვესტიცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასბეული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას კაპიტალის ინვესტიციისთვის რომელიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, ჯგუფს შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია უპირობოდ აღიაროს ფინანსური აქტივი რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს პირობებს, როგორც შეფასებადი ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, ვადიან ანაბრებს და მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან, რომლებიც დაქვემდებარებულია სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა-არსებით რისკს. ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ვადიან ანაბრებს ბანკებში 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით შეძენის თარიღიდან, მაგრამ რომლებისთვისაც ჯგუფს აქვს ცალმხრივი უფლება რომ გამოიტანოს თანხები რამდენიმე დღის განმავლობაში შეტყობინების გაგზავნიდან მნიშვნელოვანი ჯარიმების ან პროცენტის დაკარგვის გარეშე.

მოცემული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსის შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებასა ან ზარალში. აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ფონდი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ფონდი ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში რომელიც SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას იწვევს (ანუ კონვერტაციის ფუნქციის გათვალისწინება).

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ამონაგებს ან ზარალს კორექტირებაზე მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირდება შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას მიმდინარე საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავ-განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების ანალოგიურად. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის ფუნქციის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის ან ნაკისრი ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(l) კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოპციონების გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ზრდადი ხარჯები აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

დაკავშირებულ და შვილობილ საწარმოებში წილების შენატანის გარდა, მესაკუთრეების არაფულადი შენატანების აღიარება ხდება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გადავადებული გადასახადის გამოკლებით, შენატანის განხორციელების თარიღისთვის.

არაფულადი განაწილების აღიარება ხდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით, თუ ამგვარი განაწილებები სცდება ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) გამოყენების ფარგლებს.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე აღიარებს ზარალის რეზერვებს.

ჯგუფი აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები რომელთაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფი წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ფონდი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მიერ მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნიან ცალკეულ ფულად ნაკადებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც მიეკუთვნება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(n) დივიდენდები

დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე აისახება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

(o) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტერებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(p) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები განხილულია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ფონდი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დადებულ ხელშეკრულებებზე.

(i) როგორც მოიჯარე

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში იზრდება პროცენტის ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადასახდელებით. ასევე ხდება მისი გადაფასება როდესაც ხდება ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომლებიც წარმოიშვება ინდექსში ან განაკვეთში ცვლილებიდან, ცვლილება ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი მოსალოდნელი თანხის შეფასებაში, ან, ვითარებიდან გამომდინარე, ცვლილებები იმის შეფასებაში, გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია შესყიდვის ან ვადის გაგრძელების ფუნქციით სარგებლობა ან გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი არ არის ხელშეკრულების შეწყვეტის ფუნქციით სარგებლობა.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც გამოიყენება შესაბამისი აქტივი. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი თავის მსჯელობას აფუძნებს ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკურ საკითხებზე, და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას რომ ფაქტორები როგორც ეკონომიკური ჯარიმები, იჯარის განახლების მიმართ საკანონმდებლო მიდგომები და ჯგუფის მომავალი ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

ჯგუფი პრაქტიკულ მიდგომას იყენებს იმისათვის, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლებით აქტივები და ვალდებულებები იჯარებზე, რომლებსაც 12 თვეზე ნაკლები ვადა აქვთ და ასევე დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან მისი ცვლილებისას, ჯგუფი, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

ჯგუფი საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

ჯგუფზე, როგორც მეიჯარეზე, გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები შესადარის პერიოდში, არ ყოფილა ფასს 16-ისგან განსხვავებული.

2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი პოლიტიკა.

2019 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის, ჯგუფმა განსაზღვრა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას, შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა გარიგების შესრულება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და
- გარიგებამ გადასცა თუ არა აქტივის გამოყენების უფლება. გარიგება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას თუ ერთ-ერთი შემდგომი პირობა არის დაკმაყოფილებული:
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივის გამოყენების უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად;
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივზე ფიზიკური წვდომის კონტროლის უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად; ან
- ფაქტები და გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ იმის ალბათობა რომ სხვა მხარეებმა მიიღონ გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტი, იყო ძალიან დაბალი, და ერთეულის ფასი არ იყო არც ფიქსირებული გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულზე, არც ტოლი გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

(i) როგორც მოიჯარე

შესადარის პერიოდში, როგორც მოიჯარე ჯგუფი იმ იჯარებს, რომლებიც საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას გადასცემდა, ფინანსურ იჯარებად აკლასიფიცირებდა. ასეთ შემთხვევაში, იჯარით აღებული აქტივები თავდაპირველად ფასდებოდა მათ სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესით. მინიმალური საიჯარო გადასახდელები იყო იჯარის ვადის განმავლობაში განხორციელებული გადახდები, რომლის განხორციელების ვალდებულება ჰქონდა მოიჯარეს, ნებისმიერი პირობითი საიჯარო თანხის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივები აღირიცხებოდა ამ აქტივთან მიმართებაში მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

სხვა იჯარების ფარგლებში ფლობილი აქტივები კლასიფიცირდებოდა საოპერაციო იჯარების სახით და არ ყოფილა აღიარებული ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდების აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდებოდა წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდებოდა მთლიანი საიჯარო ხარჯის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში.

(ii) როგორც მოიჯარე

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებდა, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავდა იჯარა ფინანსური იჯარა იყო თუ საოპერაციო იჯარა.

იჯარის კლასიფიკაციის მიზნებისთვის, ჯგუფმა განახორციელა ზოგადი შეფასება იმისა, გადასცემდა თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

31. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, კორექტირებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში თუმცა ჯგუფს არ გამოუყენებია ისინი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. ფონდი წინამდებარე განცხადებების მიღებას მათი ძალში შესვლისთანავე გეგმავს.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფონდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).*
- *არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).*
- *აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში (ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები)*
- *ფასს 14 გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები*

სს „საპარტნიორო ფონდი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში
2019 წელი

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „საპარტნიორო ფონდი" (შემდგომში „ფონდი) არის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია რომელიც დაარსდა 2011 წელს.

ფონდი არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება და იმართება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს პრემიერ მინისტრი. აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აგრეთვე არიან ოთხი მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები.

ფონდისათვის არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, დაფინანსების პრინციპებს და წყაროებს, პროექტებში მონაწილეობის ფორმებს, კორპორატიულ მმართველობას და ანგარიშგებას.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც ე.წ. Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე ე.წ. Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით.

ფონდი ფლობს შემდეგ საწარმოებს, რომლებიც ადრე პირდაპირ სახელმწიფოს მფლობელობაში იყო:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი

ფონდი ასევე ფლობს ინვესტიციას შემდეგ მეკავშირე საწარმოში:

- თელასი - 24.5% წილი

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული დივიდენდები წარმოადგენს ფონდის საინვესტიციო საქმიანობის მთავარ წყაროს. ფონდის წესდების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ფონდი ძირითადად საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებს როგორც არა-მაკონტროლებელი წილის მფლობელი ინვესტორი წინასწარ განსაზღვრული პროექტიდან გასვლის სტრატეგიით, რაც ხშირ შემთხვევაში ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს შეადგენს. თუმცა ფონდი აგრეთვე ეწევა საინვესტიციო საქმიანობას როგორც მაკონტროლებელი წილის მფლობელი აქციონერი. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი

პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

ფონდი ახორციელებს საკუთარი კაპიტალის მიწოდებას და ე.წ. Mezzanine-ის სახის ინსტრუმენტებში ინვესტირებას და რიგ შემთხვევებში, სუბორდინირებული სესხების გაცემას.

2019 წელს წინა საანგარიშგებო წელთან შედარებით ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი გაუმჯობესდა. კერძოდ, 2019 წლის ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ფონდის კონსოლიდირებული შემოსავლები გაიზარდა 22%-ით, ჯამური აქტივები - 3%-ით და საკუთარი კაპიტალი - 5%-ით. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის ფონდის კონსოლიდირებულ ფინანსურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა 71 მლნ ლარის წმინდა მოგება. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ 2019 წელი 121 მლნ ლარის მოგებით დაასრულა, ხოლო „საქართველოს რკინიგზამ“ – 5.5 მლნ ლარის წმინდა ზარალით. მომგებიანი იყო 2019 წელი „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვისაც,“ რომელსაც 30 მლნ ლარის წმინდა მოგება დაუფიქსირდა აღნიშნულ წელს.

განვითარების გეგმები

ფონდის განვითარების გეგმების განსახილველად, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ფონდის ორი უმსხვილესი შვილობილი კომპანიის, „საქართველოს რკინიგზის“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ განვითარების გეგმები.

„საქართველოს რკინიგზას“ გააჩნია სხვადასხვა სახის უძრავი ქონება, მოძრავი შემადგენლობა, დანადგარები და სხვა საკუთრებები. კომპანიის აქტივების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 2.3 მილიარდი ლარი. კომპანია ფლობს და ამუშავებს შემდეგ აქტივებს:

- ლიანდაგები;
- ვაგონები
- კონტეინერები;
- ლოკომოტივები;
- ელექტრომატარებლები (EMU);
- სადგურები;
- ადმინისტრაციული შენობები
- მიწა;
- გვირაბები, ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურული საკუთრებები;

ზოგიერთი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ჩამონტაჟებული სისტემები და ენერგეტიკული ქვესადგურები და ზოგიერთი კავშირში მყოფი საკუთრებები,

რომლებიც კომპანიას ეკუთნის და ისინი ამუშავებენ, როგორიცაა მოძრავი შემადგენლობა, შედარებით ძველია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფრასტრუქტურის მდგომარეობა საკმარისია, რომ ჯგუფის მიმდინარე და დაგეგმილი სარკინიგზო ოპერაციების განხორციელება მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე მოხდეს, „საქართველოს რკინიგზა“ განაგრძობს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი სამუშაოების გაუმჯობესებას. იგი აგრძელებს მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადებას, რათა მოხდეს ინფრასტრუქტურის რეკონსტრუირება, „რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის“ ჩათვლით.

საქართველოს რკინიგზა ტრასეკას ძირითადი სეგმენტია - უმოკლესი მარშუტი კასპიის ზღვიდან და ცენტრალური აზიიდან შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისკენ. ჯგუფის სატვირთო ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი (2019 წელს მისი სატრანსპორტო შემოსავლების დაახლოებით 90%) წარმოიშვა დსთ-ს ქვეყნებში ტრანსპორტირებადი სატვირთო გადაზიდვებით. შედეგად, ჯგუფის სატვირთო გადაზიდვების მოცულობები დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის მიმართ მგრძნობიარეა და ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკებს მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს. დაბალი ნავთობის ფასები, რუსეთის რეცესია (დსთ-ს ქვეყნებში ყველაზე დიდი ეკონომიკა), შემცირდა მოთხოვნა რუსეთიდან და რამდენიმე გეოპოლიტიკური მოვლენები/კონფლიქტები (მაგალითად, დასავლეთის სანქციები რუსეთზე, კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში და აზერბაიჯანისა და სომხეთის მტრული ურთიერთობა) დსთ-ს ქვეყნებში ნელ-ნელა გაიზარდა. ბოლო წლების განმავლობაში ასევე მოხდა რუსული რუბლისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ვალუტების გაუფასურება.

დსთ-ს ქვეყნებზე დამოკიდებულების შემცირების და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის მიზნით, ჯგუფი ახალ ბაზრებზე გასვლას ცდილობს. ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) პროექტის დასრულების შემდეგ, საქართველოს რკინიგზა მიზნად ისახავს, ჩინეთი-ევროპისა და ჩინეთი თურქეთის გაზრდილი ვაჭრობის მოცულობების ფონზე სარგებლის ნახვას. 2019 წელს ჩინეთის ექსპორტის დაახლოებით 19% ევროკავშირთან იყო. ჩინეთი ასევე თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. კომპანია იკვლევს ტრანზიტული მარშრუტის შესაძლებლობას აზიასა და ევროპას შორის. ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს ინდოეთიდან სავაჭრო მარშრუტის განვითარებას.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტაბილური და წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა, რომელზეც ის იქნება ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისთვის საჭიროა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესწავლა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- იაფი ენერგორესურსების მოზიდვა და რეგიონალურ ენერგოკომპანიებთან
- თანამშრომლობა მოწოდების იაფი და საიმედო, მათ შორის ახალი წყაროების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის არსებული და დაგეგმილი სატრნზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა;
- სატრანზიტო პროექტებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ენერგო რესურსებზე საბაზრო ფასის ცვალებადობით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და საქართველოს მოსახლეობისა და ენერგეტიკული სექტორისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომი და გარანტირებული მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა სახელმწიფო ინტერესების გატარების ექსკლუზიური უფლებით;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება მათი ფუნქციონირების მაღალი ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია, მათ შორის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროექტებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით გზით.
- რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების იმპლემენტაციის მეშვეობით.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტრატეგიული დაგეგმარების და ტექნიკური დეპარტამენტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საქმიანობის ეფექტუროობის გაზრდის, ენერგიის დამატებითი წყაროების, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით და ადგენენ გრძელვადიან პროექტებს, რომლის შესრულება და დანერგვა ხდება ეტაპობრივად.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, კორპორაცია მუდმივად მუშაობს ნავთობისა და გაზის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავლების ეფექტურ მართვაზე და ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ენერგოპროექტებში საკუთარი სახსრებით.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი“ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან პროექტების დაფინანსების კუთხით.

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** რეაბილიტაციის რეჟიმშია. თუმცა, აღნიშნულმა კომპანიამ, როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორმა, შეიმუშავა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2029 წლამდე პერიოდისათვის, ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საიმედოობის უფრო მაღალი სტანდარტების მისაღწევად. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 24 აპრილის # 1-1/207 ბრძანებით. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: არჩილ კოხტაშვილი, ელექტრული რეჟიმების და განვითარების სამსახურის უფროსი და გიორგი ვახტანგაძე, გადამცემი ქსელის დაგეგმვის და განვითარების განყოფილების უფროსი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმდინარე მშენებლობებმა (რაც ძირითადად მოიცავს სარეაბილიტაციო პროექტებს) შეადგინა 245 მილიონი ლარი.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფონდის თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ფონდი ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფონდისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები.

ფონდის გააჩნია სავალუტო ოპერაციები და იგი სენსიტიურია სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. ფონდის ფულადი ნაკადები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შენიშნა N22), რომელიც გაიცა 2020 წლის 23 ოქტომბერს.

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელმაც ეკონომიკურ ბაზარს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, გამოწვეული იყო COVID 19-ის გავრცელებით. აღნიშნული მოვლენის გავლენა ჯგუფზე მოცემულია ფონდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (შენიშვნა N2(ბ)).

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 23 ოქტომბერს:

დავით საგანელიძე აღმასრულებელი დირექტორი	იოსებ მამუკელაშვილი ფინანსური დეპარტამენტის დირექტორის მ/შ

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელმაც ეკონომიკურ ბაზარს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, გამოწვეული იყო COVID 19-ის გავრცელებით. აღნიშნული მოვლენის გავლენა ჯგუფზე მოცემულია ფონდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (შენიშვნა N2(ბ)).

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 23 ოქტომბერს:

დავით სვანელიძე
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
დირექტორის მ/შ